ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა ,,განათლების მეცნიერებები“

მარი კუსრაშვილი

სტუდენტების ინფორმირებულობის დონე ერასმუს მუნდუსის გაცვლით პროგრამასთან დაკავშირებით (ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტების მაგალითზე)

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: რუსუდან სანაძე,
თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების
მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,
განათლების მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი
2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება სტუდენტების ინფორმირებულობის დონის კვლევას ერასმუს მუნდუსის გაცვლით პროგრამასთან დაკავშირებით. საკითხს ვიკვლევთ ოთხი უნივერსიტეტის ინგლისური ფოლოლოგიის მიმართულების სტუდენტების მაგალითზე.

თანამედროვე ეპოქაში, გლობალიზაციის დაჩქარების პირობებში, უმაღლესი განათლების მიღება ასოცირდება არა მხოლოდ პროფესიის დაუფლებასთან, არამედ საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი მოქალაქის აღზრდასთან. მოქალაქე, რომელიც იქნება არა ლოკალური, არამედ საერთაშორისო საზოგადოების წევრი. შესაბამისად, ქართულმა უნივერსიტეტებმა, გლობალიზაციის პროცესში იტვირთეს მისი, რომ არ იყვნენ, მხოლოდ განათლების მიმწოდებელი პატარა ,,საწარმოები", არამედ აქტიურად ჩაერთვნენ საერთაშორისო ცვლილებების პროცესში.

საერთაშორისო ღირებულებების გაზიარება კი არ მოხდება, თუ არ შედგა კონტაქტი ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით განათლების ჭრილში. ეს კონტაქტი გულისხმობს სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართვას სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობებში. რის შედეგადაც, პირველ რიგში, უნივერსიტეტი და შემდეგ უკვე კონკრეტული სახელმწიფო მიიღებს სარგებელს განათლების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

აღნიშნული საკითხის კვლევამდე გლობალიზაციის ჭრილში განვიხილეთ რამდენიმე ქვეყნის (საქართველო, გერმანია, ლიტვა) უმაღლესი განათლების სისტემა.

ასევე ნაშრომში წარმოგიდგენთ მსჯელობას ბოლონიის პროცესის, მისი მიზნების და მიზანზე გასასვლელი ამოცანების შესახებ, დაწვრილებით განვიხილავთ ბოლონიის პროცესის დოკუმენტებსა და მათ პრეამბულებს.

სამგისტრო ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე, თეორიულ ნაწილში ვსაუბრობთ ერასმუსის თოთოეულ მოდულსა და მასთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებზე.

ნაშრომის ფარგლებში ასევე შევისწავლეთ სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის საკითხი რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე (გერმანია, ლიტვა, საქართველო)

და წარმოგიდგენთ ინფორმაციას შესაბამის ქვეყნებში ჩატარებული კვლევებისა და ასევე სტატისტიკური მონაცემების შესახებ.

ინფორმაციის დამუშავების და კვლევების გაცნობის შემდეგ შევიმუშავეთ **ჰიპოთეზა,** რომლის მიხედვითაც, საკვლევად აღებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების ინფორმირებულობის დონე ერასმუს მუნდუსის გაცვლითი პროგრამის მიმართ საკმაოდ დაბალია.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, სტუდენტების ინფორმირებულობის დონის კვლევა ერასმუს მუნდუსის გაცვლითი პროგრამასთან დაკავშირებით (ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტების მაგალითზე). აღნიშნული მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი **ამოცანები:**

- ➢ ლიტერატურის მიმოხილვა
- ▪ უმაღლესი განათლების ისტორიის მიმოხილვა (საქართველი, გერმანია, ლიტვა)
- ▪ ბოლონიის პროცესის და მისი შესაბამისი დოკუმენტების დამუშავება, ბოლონიის პროცესის მიზნების ანალიზი
- ▪ მობილობა, როგორც ბოლონიის პროცესის ნაწილი
- ▪ ერასმუსის პროგრამის დოკუმენტები
- ▪ სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის საკითხი (გერმანია, ლიტვა, საქართველო)
- ➢ კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა
- ➢ კითხვარის შემუშავება
- ➢ ემპირიული კვლევის ჩატარება
- ▪ ერასმუს მუნდოსის გაცვლითი პროგრამების მოთხოვნადი დოკუმენტების მომზადების გამოცდილების განსაზღვრა
- ▪ ერასმუს მუნდოსის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველი სტუდენტებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა
- ➢ დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომის კვლევის საგანია, ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტების ინფორმირებულობის დონე ერასმუს მუნდუსის გაცვლითი პროგრამის მიმართ, ხოლო

ობიექტი - კვლევაში ჩართული უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულების ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტების ინფორმირებულობის პროცესი.

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს, როგორც თვისებრივ კვლევას, რაც გულისხმობს შესაბამისი ლიტერატურის და დოკუმენტაციის ანალიზს, ასევე სამიზნე ჯგუფის გამოკითხვის მიზნით ჩვენ მიერ გამოყენებულ რაოდენობრივი გამოკითხვის მეთოდს. **კვლევის ინსტრუმენტად** შევარჩიეთ თვითადმინისტრირებული კითხვარი. კითხვარი მოიცავდა ღია და დახურულ კითხვებს. კვლევა განხორციელდა როგორც ელექტრონულად, ასევე ადგილზე გამოკითხვით.

რესპონდენტთა შერჩევისას გამოვიყენეთ **მიზნობრივი შერჩევის მეთოდი,** ოთხი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თვილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს იუნივერსიტეტი) ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის საფეხურის სტუდენტები (ჯამში 110 რესპონდენტი). კვლევის შედეგები დაწვრილებით არის წარმოდგენილი ნაშრომში.

Kusrashvili Mari

The level of awareness of students in relation to the Erasmus Mundus Exchange Program (On the example of English philologists course students)

Annotation

The following Master's thesis concerns on the level of students' awareness regarding the Erasmus Mundus Exchange Program. The issue is examined by the example of the English philology students of four Universities.

In the modern epoch, in the context of the acceleration of globalization, higher education is associated with not only the acquaintance of the profession but with the education of the citizen with international values. A citizen who will not be a member of a local community, but who will be a member of an international community. Consequently, Georgian Universities have implemented a mission in the process of globalization that they will not be only small enterprises of education, but also actively engaged in international process of changes.

International values will not be shared without contact with countries, especially in the context of education. This contact means involving students, academic and administrative personnel in different international activities. As a result, first of all, the university and then the state will benefit from the improvement of the quality of education.

Before studying this issue, we discussed the higher education systems of several countries (Georgia, Germany, Lithuania) in the context of globalization.

In the thesis we also present a discussion of the Bologna process, its goals and the tasks to achieve these goals, we review the documents of the Bologna Process and its preambles in detail.

Based on the subject of the Master's thesis, in the theoretical part we are talking about the modules of Erasmus program and its accompanying statistical data.

In the framework of the thesis, we also examined the issue of students' international mobility on the example of several countries (Germany, Lithuania, Georgia) and present information on the research conducted in the respective countries and the statistical data.

After processing of information and understand the research, we developed the following hypothesis, according which: the level of awareness of students of higher education institutions, mentioned in this research, in relation to Erasmus Mundus exchange program is very low.

The aim of the Master's Thesis is to study the level of awareness of students in relation to the Erasmus Mundus Exchange Program (on the example of English Philology Students). To accomplish this goal, we set the following tasks:

- Literature review
  - Overview of Higher Education History (Georgia, Germany, Lithuania)
  - Processing of documentations relevant to Bologna Process and analysis of Bologna process goals
  - Mobility as part of the Bologna Process
  - Erasmus program documents
  - Issue of International student mobility (Germany, Lithuania, Georgia)
- Develop conclusions and recommendations.
- Determination of research methodology
- Develop a questionnaire
- Conduct an empirical study
  - Determine the experience of preparation of documents required by Erasmus Mundus Exchange Programs
  - Identifying factors affecting students will to participate in the Erasmus Mundus Exchange Program

The research subject of the thesis is the level of awareness of English philological students towards the Erasmus Mundus Exchange Program and the object - the process of informing the students of English philology of the higher education institution involved in the study.

The research methodology covers both, qualitative research, which implies analysis of relevant literature and documentation, as well as the quantitative survey method used for the target group surveying. We have chosen self-made questionnaire as a research tool. The

questionnaire included open and closed questions. The survey was carried out as an electronic and also on place.

During the selection of the respondents we used the target selection method, bachelor/undergraduate students of four higher education institutions (Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ilia State University, Sokhumi State University, University of Georgia) who were studied English Philology. (in total 110 respondents). The results of the study are presented in the thesis, in details.

სარჩევი

შესავალი **9**

თავი I - ინტერნაციონალიზაციის პროცესები უმაღლესი განათლებაში - ისტორიული რაკურსი **13**

§1.1. პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები 13

§1.2 უმაღლესი განათლების ისტორია გერმანიაში 15

§1.3. უმაღლესი განათლების ისტორია ლიტვაში 20

§1.4. უმაღლესი განათლების ისტორია საქართველოში 28

თავი II - ბოლონიის პროცესი **36**

§2.1. ბოლონიის პროცესის მიზნები 36

§2.2. მობილობა, როგორც ბოლონიის პროცესის ნაწილი 41

თავი III - ERASMUS + პროგრამა **44**

§ 3.1. ტემპუსი (Tempus) 45

§ 3.2. ერასმუს მუნდუსი (Erasmus mundus) 50

§ 3.3. ჟან მონე (Jean Monnet) 55

თავი IV - სტუდენტთა საერთაშორისო მობილობა **58**

§4.1. მობილობის საკითხი გერმანიაში 58

§4.2. მობილობის საკითხი ლიტვაში 63

§4.3. მობილობის საკითხი საქართველოში 66

კვლევითი ნაწილი **71**

დასკვნები **93**

რეკომენდაციები **97**

გამოყენებული ლიტერატურა: **100**

დანართი 1

შესავალი

ინტერნაციონალიზაცია, როგორც პროცესი არ იარსებებდა გლობალიზაციისგან დამოუკიდებლად და მის გარეშე. აქედან გამომდინარე, განათლების ინტერნაციონალიზაციაზე ვისაუბროთ გლობალიზაციის ჭრილში.

გლობალიზაცია გახლავთ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეკონომიკური, კულტურული და სხვა მიღწევების გაზიარების პროცესი, რომელიც აახლოებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მყოფ ხალხს (ა. ასათიანი 2008).

გლობალიზაცია, როგორც პროცესი, მეოცე საუკუნიდან გვაქვს სახეზე, რომელიც ტექნოლოგიური განვითარების შედეგად აღმოცენდა. სულ თავიდან, გლობალიზაცია მიზნად ისახავდა ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას, აქედან გამომდინარე, წმინდა ეკონომიკური შინაარსის შემცველი ტერმინი იყო, თუმცა, შემდგომში მისი მნიშვნელობა გაფართოვდა. შედეგად კი ამ ტერმინმა მოიცვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო. (პოლიტიკა, კულტურა, სოციალური მხარე და ა.შ)

რას გულისხმობს თავისი არსით გლობალიზაცია? ის ცალსახად ნიშნავს ერთიანი მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებას და ეროვნული სახელმწიფოებრივი საზღვრების გაუქმებას (ა. ასათიანი 2008)

ერთიანი საზოგადოების ჩამოყალიბების მცდელობა კი შედეგს გამოიღებს მაშინ, როდესაც ხალხი იქნება ერთნაირი ღირებულებების, ინტერესების, კულტურის მქონე. შესაბამისად, განსხვავებული კულტურის და ღირებულებების მიღების, მისი აღქმის და სწავლების ერთ-ერთი გზა არის სწორედაც განათლების ინტერნაციონალიზაცია (ა. ასათიანი 2008).

რაც შეეხება განათლების ინტერნაციონალიზაციას. მისი უამრავი დეფინიცია არსებობს. შემოგთავაზებთ რამდენიმე მათგანს.

საერთაშორისო განათლების ევროპული ასოციაციის მიერ განსაზღვრული განმარტების თანახმად, ინტერნაციონალიზაცია არის პროცესების ერთობლიობა, რომლის შედეგედაც განათლება ხდება ნაკლებად ლოკალური (ვ. სართანია 2006).

კანადელი მეცნიერის ნაითის მოსაზრებით, ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს ინტერკულტურული და სერთაშორისო ელემენტების ინტეგრაციას საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროცესში (ვ. სართანია 2006).

ერთი რამ ცხადია, დღესდღეობით გლობალიზაციის პროცესის დაჩქარებასთან ერთად მოიშალა საზღვრები ქვეყნებს შორის. გარდა ამისა, გაიზარდა კონკურენცია. სწორედ ამ კონკურენტულ გარემოში უწევს რეალიზება თითოეულ სტუდენტს.

თანამედროვე ეპოქაში გლობალიზაციის პროცესის დაჩქარების პირობებში, უმაღლესი განათლების მიღება ასოცირდება არა მხოლოდ პროფესიის დაუფლებასთან, არამედ საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, გლობალური საზოგადოების აღზრდასთან. მოქალაქე, რომელიც იქნება არა ლოკალური საზოგადოების, არამედ საერთაშორისო საზოგადოების წევრი. შესაბამისად, ქართულმა უნივერსიტეტებმა გლობალიზაციის პროცესში იტვირთეს ერთგვარი მისია, რომ არ იყვნენ, მხოლოდ განათლების მიმწოდებელი პატარა ,,საწარმოები“, არამედ აქტიურად ჩაერთვნენ საერთაშორისო ცვლილებების პროცესში (ო. ალფენიძე 2014).

საერთაშორისო ღირებულების გაზიარება არ მოხდება თუ არ შედგა კონტაქტი ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით განათლების ჭრილში. ეს კონტაქტი თავისთავად გულისხმობს სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართვას სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობებში. რის შედეგადაც, პირველ რიგში, უნივერსიტეტი და შემდეგ უკვე კონკრეტული სახელმწიფო მიიღებს სარგებელს განათლების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

აღნიშნული საკითხის კვლევამდე გლობალიზაციის ჭრილში განვიხილეთ რამდენიმე ქვეყნის (საქართველო, გერმანია, ლიტვა) უმაღლესი განათლების სისტემა.

ასევე ნაშრომში წარმოგიდგენთ მსჯელობას ბოლონიის პროცესის, მისი მიზნების და მიზანზე გასასვლელი ამოცანების შესახებ, დაწვრილებით განვიხილავთ ბოლონიის პროცესის დოკუმენტებსა და მათ პრეამბულებს.

სამგისტრო ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე, თეორიულ ნაწილში ვსაუბრობთ ერასმუსის თოთოეულ მოდულსა და მასთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებზე.

ნაშრომის ფარგლებში ასევე შევისწავლეთ სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის საკითხი რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე (გერმანია, ლიტვა, საქართველო) და წარმოგიდგენთ ინფორმაციას შესაბამის ქვეყნებში ჩატარებული კვლევებისა და ასევე სტატისტიკური მონაცემების შესახებ.

ინფორმაციის დამუშავების და კვლევების გაცნობის შემდეგ შევიმუშავეთ **ჰიპოთეზა**, რომლის მიხედვითაც, საკვლევად აღებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების ინფორმირებულობის დონე ერასმუს მუნდუსის გაცვლითი პროგრამის მიმართ საკმაოდ დაბალია.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, სტუდენტების ინფორმირებულობის დონის კვლევა ერასმუს მუნდუსის გაცვლითი პროგრამასთან დაკავშირებით (ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტების მაგალითზე). აღნიშნული მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი **ამოცანები:**

- ➢ ლიტერატურის მიმოხილვა
- ▪ უმაღლესი განათლების ისტორიის მიმოხილვა (საქართველი, გერმანია, ლიტვა)
- ▪ ბოლონიის პროცესის და მისი შესაბამისი დოკუმენტების დამუშავება, ბოლონიის პროცესის მიზნების ანალიზი
- ▪ მობილობა, როგორც ბოლონიის პროცესის ნაწილი
- ▪ ერასმუსის პროგრამის დოკუმენტები
- ▪ სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის საკითხი (გერმანია, ლიტვა, საქართველო)
- ➢ კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა
- ➢ კითხვარის შემუშავება
- ➢ ემპირიული კვლევის ჩატარება
- ▪ ერასმუს მუნდოსის გაცვლითი პროგრამების მოთხოვნადი დოკუმენტების მომზადების გამოცდილების განსაზღვრა
- ▪ ერასმუს მუნდოსის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველი სტუდენტებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა
- ➢ დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომის კვლევის საგანია, ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტების ინფორმირებულობის დონე ერასმუს მუნდუსის გაცვლითი პროგრამის მიმართ, ხოლო **ობიექტი** - კვლევაში ჩართული უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულების ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტების ინფორმირებულობის პროცესი.

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს, როგორც თვისებრივ კვლევას, რაც გულისხმობს შესაბამისი ლიტერატურის და დოკუმენტაციის ანალიზს, ასევე სამიზნე ჯგუფის გამოკითხვის მიზნით ჩვენ მიერ გამოყენებულ რაოდენობრივი გამოკითხვის მეთოდს. **კვლევის ინსტრუმენტად** შევარჩიეთ თვითადმინისტრირებული კითხვარი. კითხვარი მოიცავდა ღია და დახურულ კითხვებს. კვლევა განხორციელდა როგორც ელექტრონულად, ასევე ადგილზე გამოკითხვით.

რესპონდენტთა შერჩევისას გამოვიყენეთ **მიზნობრივი შერჩევის მეთოდი,** ოთხი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თვილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს იუნივერსიტეტი) ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის საფეხურის სტუდენტები (ჯამში 110 რესპონდენტი). კვლევის შედეგები დაწვრილებით არის წარმოდგენილი ნაშრომში.

თავი I - ინტერნაციონალიზაციის პროცესები უმაღლესი განათლებაში - ისტორიული რაკურსი

აღნიშნულ თავში წარმოგიდგენთ მსჯელობას პირველ უმაღლეს საგანმნათლებლო დაწესებულებებზე. იმ ვითარებაზე, რომელიც მსგავსი დაწესებულებების შექმნის საფუძველი გახდა.

გარდა ამისა, ვსაუბრობთ გერმანიის საგანმანათლებლო სისტემაზე, უნივერსიტეტების ტიპებსა და იმ პროცედურებზე (უნივერსიტეტის ტიპები, ჩარიცხვის წესი, გადასახადი), რომლებიც გერმანიაში სწავლის გაგრძელების წინაპირობაა.

ასევე, წარმოგიდგენთ ინფორმაციას ლიტვის უმაღლეს საგამნათლებლო სისტემაზე. მოგითხრობთ საკმაოდ რთული გზის შესახებ, რომლის გავლაც მოუწიათ ლიტველებს, იმ მიზნით რომ შეექმნაათ თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა.

ამასთან, ვისაუბრებთ, საქართველოს ფარგლებს გარეთ და ქვეყნის შიგნით მდებარე საგანმანთლებლო კერებზე, რომელიც გახლავთ თანამედროვე განათლების სისტემის საფუძველი. გარდა ამისა, შემოგთავაზებთ ჩვენეულ ანალიზს, იმის შესახებ თუ რატომ მივიჩნევთ აღნიშნულ კერებში ქართველი ხალხის მოღვაწეობას ინტერნაციონალიზაციის ნიმუშად.

§1.1. პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

საუბარი დავიწყოთ პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებით, რომელთა დახმარებითაც საფუძველი ჩაეყარა უმაღლესი განათლების ისტორიას და შეიქმნა თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა.

პედაგოგიკის ისტორიაში ინოვაციურ ხანად უნდა მივიჩნიოთ მე-12 საუკუნე. ეს არის პერიოდი, როდესაც ფუნქციონირებას იწყებს პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (ნ. ვასაძე 1988).

ერთგვარი წინაპირობა აღნიშნულ პერიოდში უნივერსიტეტების დაარსებისა გახლდათ შუა საუკუნეებში არსებული აღზრდა-განათლების უკიდურესად ქრისტიანულ-რელიგიური ხასიათი და სწავლების სქოლასტიკური მეთოდი, რომელიც ხელს უშლიდა აზროვნების განვითარებას და გულისხმობდა ინფორმაციის მექანიკურად, გაუაზრებლად დაზეპირებს, თუმცა იმ პერიოდში საკმაოდ მიღებული

მეთოდი გახლდათ ქრისტიანული დოგმატური წესების გამართლების და საბოლოოდ, ეკლესიის მიერ, მორჩილი, პროტესტის უნარს მოკლებული მოქალაქის აღზრდის მიზნით (ნ. ვასაძე 1988).

ნათელა ვასაძის სახელმძღვანელოში (პედაგოგიკის ისტორია) წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, პირველი უნივერსიტეტების დაარსება განსაკუთრებით იმით არის საყურადღებო, რომ ისინი თავისუფლდებიან ეკლესიის ზეგავლენისაგან და იქ განათლების მისაღებად მიდიან მეცნიერების მოყვარული ადამიანები.

რაც შეეხება, უშუალოდ პირველ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ამავე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, პირველი უნივერსიტეტი მე-12 საუკუნეში ევროპაში, იტალიის ქალაქ სალერნოში დაარსდა. ქრონოლოგიურად, შემდეგმა უნივერსიტეტმა ფუნქციონირება დაიწყო ბოლონიაში (1158 წ), ინგლისში - ოქსფორდში (1167-68 წ), საფრანგეთში- პარიზში, მონპელიეში (1181 წ), რეჯო-ნელ - ემილიაში (1188 წ).[1]

მე-12 მე-13 საუკუნეებში ევროპაში უნივერსიტეტების რიცხვი განსაკუთრებით სწარფად იზრდება (ნ. ვასაძე 1988).

ნ. ვასაძის ინფორმაციით, უნივერსიტეტები ინარჩუნებდნენ სრულ ავტონომიას, რაც შემდეგში გამოიხატებოდა. თუ ეკლესიის მხრიდან იქნებოდა მათი დამორჩილების მცდელობა, პროფესორ - მასწავლებლები და სტუდენტები ტოვებდნენ იმ კონკრეტულ საგანმანათლებლო დაწესებულებას და გადადიოდნენ სხვა ქალაქში.

რაც შეეხება კურიკულუმს და სასწავლო საგნებს პირველ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ნ. ვასაძის ინფორმაციით, *„უნივერსიტეტში ისწავლებოდა ე.წ შვიდი თავისუფალი ხელოვნება (მეცნიერება) - გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა. ამ საგნების დაუფლების*

[1] ზოგიერთ ევროპულ უნივერსიტეტთა შორის დღესდღეობითაც არსებობს უთანხმოება იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რომელი იყო სინამდვილეში პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. ბოლონიის უნივერსიტეტი, მიუხედავად იმისა, რომ ის პარიზის უნივერსიტეტს უსწრებს დაარსების თარიღის მიხდვით, ჩამოყალიბებულ იქნა სტუდენტების მიერ, რომლებიც თავად ეძებდნენ მასწავლებლებს, მაშინ როცა პარიზის უნივერსიტეტი მასწავლებელთა ორგანიზებული ქმედების შედეგად დაარსდა, რომელთაც შემდეგ თავად მოიძიეს სტუდენტები. შესაბამისად, ზოგიერთი (განსაკუთრებით პარიზში) ეჭვქვეშ აყენებს საკითხს იმაზე თუ რომელი იყო "ნამდვილი" უნივერსიტეტი დაარსების მომენტში, თუმცა ზოგადად აღიარებული ფაქტია, რომ ბოლონიის უნივერსიტეტი პირველი იყო.

შემდეგ სტუდენტს შეეძლო შეერჩია ერთ-ერთი სპეციალური ფაკულტეტი - სამედიცინო, იურიდიული ან ღვთისმეტყველებისა"[ნ. ვასაძე 1988: 40-41].

§1.2 უმაღლესი განათლების ისტორია გერმანიაში

ამ თავში შემოგთავაზებთ მსჯელობას, რომელიც წარმოდგენას შეგვიქმნის გერმანიის საგანმანათლებლო სისტემაზე.

როგორც ცნობილია, გერმანიის უნივერსიტეტები აღიარებულია საერთაშორისო დონეზე. მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგში (ARWU) 2008 წლისთვის, მსოფლიოს 100 საუკეთესო უნივერისტეტიდან ექვსი გერმანიაშია, ხოლო 200-დან 18-მდე ასევე გერმანიაშია(https://www.german-way.com/history-and-culture/education/universities-in-germany/).

გერმანიის უნივერსიტეტების უმრავლესობა საჯარო დაწესებულებებია და თითოეულ სტუდენტზე სემესტრის მხოლოდ 60-200 ევროს საფასურს იხდის, როგორც წესი, ამით იფარება საუნივერსიტეტო კაფეტერებთან და ჩვეულებრივ საჯარო სატრანსპორტო ბილეთებთან დაკავშირებული ხარჯები (https://www.german-way.com/history-and-culture/education/universities-in-germany/).

ამდენად, აკადემიური განათლება ღია და ხელმისაწვდომია ბევრი მოქალაქისთვის. გერმანიაში მოქმედებს ორმაგი განათლების სისტემა, რომელიც აერთიანებს როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ მიმართულებას.

გერმანიის უძველესი უნივერსიტეტები კვლავ ინარჩუნებენ უძველესი და საუკეთესო უნივერსიტეტების ტიტულს მსოფლიოში. ჰეიდელბერგის უნივერსიტეტი უძველესია (1386 წელს და განაგრძობს ფუნქციონირებას მას შემდეგ). მას მოჰყვება კიკონის უნივერსიტეტი (1388), ლეიპზიგის უნივერსიტეტი (1409), როსტოკის უნივერსიტეტი (1419), გრეიფსვოლდის უნივერსიტეტი (1456), ფრაიბურგის უნივერსიტეტი (1457), ლმუ მიუნხენი (1472) და ტუბინენენის უნივერსიტეტი (1477) (https://www.german-way.com/history-and-culture/education/universities-in-germany/)

აქვე შემოგთავაზებთ 10 უძველესი გერმანული უნივერსიტეტის ჩამონათვალს, რომლებიც დაარსების პერიოდიდან დღემდე ფუნქციონირებს. [2]

[2] ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://en.wikipedia.org/wiki/List_of_universities_in_Germany

უნივერსიტეტის დასახელება	დაარსების თარიღი	უნივერსიტეტის მდებარეობა
Heidelberg University	1386	Heidelberg
Leipzig University	1409	Leipzig
University of Freiburg	1419	Rostock
University of Greifswald	1456	Greifswald
University of Freiburg	1457	Freiburg
University of Munich	1472	Munich
University of Tübingen	1477	Tubingen
University of Halle-Wittenberg	1502	Halle
University of Marburg	1527	Marburg
University of Jena	1558	Jena

ცხრილი 1.2.1

უნივერსიტეტების ტიპები

გერმანიის უმაღლესი განათლების სისტემა განასხვავებს ორ ტიპის ინსტიტუტს. ტერმინი Universität (უნივერსიტეტი) განკუთვნილია იმ დაწესებულებებისთვის, რომლებსაც აქვთ დოქტორის ხარისხის მინიჭების უფლება. ამის საპირისპიროდ, Hochschule არის ზოგადი ტერმინი გერმანულ ენაზე უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც შეესაბამება უნივერსიტეტებსა და კოლეჯებს ინგლისურ ენაზე. Hochschule მოიცავს Universitäten-ს, როგორც ინსტიტუტებს, რომლებსაც არ აქვთ დოქტორის ხარისხის გაცემის უფლება.[3]

Fachhochschulen (გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტები)

გერმანიაში კიდევ ერთი ტიპის უნივერსიტეტია: (Fachhochschulen) (გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტები), რომელსაც ძირითადად უნივერსიტეტს უწოდებენ, მას ჩვეულებრივ არ გააჩნია დოქტორის ხარისხის მინიჭების უფლება. Fachhochschulen ფოკუსირებულია პრაქტიკულ საქმიანობასა და კურსდამთავრებულის დასაქმებაზე.

3 ინფორმაცია იხილეთ ბმულზე : https://www.german-way.com/history-and-culture/education/universities-in-germany/

განმასხვავებელ ნიშნად ტრადიციულ უნივერსიტეტსა და გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტს შორის გვევლინება სასწავლო მეთოდებისადმი დამოკიდებულება. ტრადიციულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მნიშვნელოვანია ის, თუ რატომ არის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება მეცნიერულად სწორი, გამართლებული. თუმცა, აღნიშნულს ნაკლები ყურადღება ექცევა გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტებში. აქ აქცენტი გაკეთებულია სისტემაში არსებულ მეთოდებზე, მის დადებით და უარყოფით მხარეზე (https://www.german-way.com/history-and-culture/education/universities-in-germany/).

მიღება

გერმანიის უნივერსიტეტებში დასწრების და სწავლის გაგრძელების სურვილის მქონე სტუდენტები, როგორ წესი, აბარებენ აბიტურს ან ცალკეული უნივერსიტეტის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო საგანს, ხოლო Fachhochschulen-სთვის, (გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტი) რომელსაც არ აქვს დოქტორის ხარისხის მინიჭების უფლება და პრაქტიკაზეა ორიენტირებული, საჭიროა აბიტურის საგანი ან უნივერსიტეტში შესვლის კვალიფიკაცია, რომელიც კონკრეტულ, ამავე უნივერსიტეტის მიერ დადგენილ საგანში სერტიფიკატს გულისხმობს.

სტუდენტებს, რომლებიც არ აკმაყოფილებენ აბიტურს, შეუძლიათ უნივერსიტეტში ჩააბარონ, იმ შემთხვევაში თუ:

1. გავლილი აქვთ წინა პროფესიული გადამზადების კურსი
2. მუშაობდა მინიმუმ სამი წელი და გაიარა Eingangsprüfung (მისაღები გამოცდა).

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელებისათვის საჭირო კვალიფიკაციის მისაღებად უამრავი გზა არსებობს, ყველაზე ტრადიციული მარშრუტი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ აბიტურის კვალიფიკაციის მიღებაა (https://www.german-way.com/history-and-culture/education/universities-in-germany/).

სწავლის საფასური

გერმანიაში საჯარო უნივერსიტეტები ფინანსდება ფედერალური სახელმწიფოებისაგან. სტუდენტები არ იხდიან დადგენილ სწავლის საფასურს. ქვეყანაში მოქმედებს პრინციპი: სწავლა ყოველგვარი საფასურის გარეშე. თავისუფალი განათლება ("Bildung zum Nulltariff"). თუმცა, ყველა ჩარიცხულ სტუდენტს აქვს სემესტრული გადასახადის გადახდის ვალდებულება. აღნიშნული საფასური მოიცავს Studentenwerk-ის[4] (სტუდენტური სადაზღვევო ორგანიზაციის გადასახადი), საუნივერსიტეტო სკოლის AStA (Allgemeiner Studentenausschuss - სტუდენტთა მთავრობა და Studentenschaft (უნივერსიტეტი სტუდენტებისათვის)) საფასურს. ტრადიციულად, სემესტრული გადასახადი გერმანიაში მერყეობს 150 ევროდან 350 ევრომდე (https://www.german-way.com/history-and-culture/education/universities-in-germany/).

2005 წელს, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ფედერალური კანონი აკრძალული სწავლის საფასურის თაობაზე იყო არაკონსტიტუციური. მათ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სწავლა ყოფილიყო ფასიანი. ამ გადაწყვეტილების შემდეგ, შვიდმა ფედერალურმა სახელმწიფომ 2006 და 2007 წლებში სწავლის საფასურად დააწესა სემესტრში 500 ევრო. აღნიშნული ბრძანების გამოცემას მოჰყვა სტუდენტების მასობრივი პროტესტი. სწავლის გაზრდილი გადასახადის გაპროტესტების ნიშნად, მოქალაქეებმა შეაგროვეს 70 000 ხელმოწერა ამგვარი პროტესტის და არეულობის გამო 2013 წელს ბავარიამ და ქვემო საქსონიამ გააუქმა სწავლის გადასახადი.

გარდა ამისა, გერმანიაში არსებობს სასწავლო სესხის პროგრამა, სახელწოდებით BAföG ("ფედერალური განათლების დახმარების აქტი"). აღნიშნული პროგრამის დახმარებით, ნაკლებად მდიდარი სტუდენტები სწავლის სტანდარტული პერიოდისთვის თვეში 735 ევროს იღებენ. ამ თანხის ნაწილი (როგორც წესი, ნახევარი) არის უპროცენტო სესხი, რომელსაც მოგვიანებით ფარავს სტუდენტი, ხოლო მეორე

[4] Studentenwerk ან Studierendenwerk - სახელმწიფო ორგანიზაცია სტუდენტებისთვის გერმანიაში. მთავარი ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობს 58 ადგილობრივი სტუდენტურ ორგანიზაციას, არის გერმანიის ეროვნული ასოციაცია, რომელიც დაარსდა 1921 წელს.

ნახევარი უფასო საგრანტოდ ითვლება (https://www.german-way.com/history-and-culture/education/universities-in-germany/).

სტუდენტები

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, გერმანიის უნივერსიტეტებში ჩარიცხული ახალგაზრდების რაოდენობა სამჯერ გაიზარდა, თუმცა სტუდენტების რაოდენობა ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალია. აღნიშნულის მიზეზად შესაძლოა მივიჩნიოთ ორმაგი განათლების სისტემა,[5] რომელიც აქცენტს აკეთებს თეორიულ სწავლებასა და პროფესიულ გადამზადებაზე. ბევრი სამუშაო ადგილი, რომელიც აკადემიურ ხარისხს მოითხოვს სხვა ქვეყნებში (საექთნო) მსგავავს მიმართულებაზე დასასაქმებლად, გერმანიაში საკმარისია პროფესიული მომზადება და არა მაინცდამაინც აკადემიური ხარისხი (https://www.german-way.com/history-and-culture/education/universities-in-germany/).

კერძო უნივერსიტეტები გერმანიაში

გერმანიის პირველი კერძო უნივერსიტეტი Universität Witten / Herdecke 1980 წელს დაარსდა. მას შემდეგ, დაახლოებით 62 კერძო კოლეჯმა და უნივერსიტეტმა დაიწყო ფუნქციონირება. მიუხედავად იმისა, რომ კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები ყოველწლიურად 10-15 მილიონ ევროს იღებენ სწავლის საფასურის სახით, ყველა მათგანი გარკვეულწილად დამოკიდებულია სახელმწიფო სუბსიდიებზე. ამის შედეგად კი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგომარეობაზე.[6]

საინტერესოა, სტუდენტთა შეფასების როგორი კრიტერიუმები და მიღების ფორმა აქვთ გერმანულ კერძო უნივერსიტეტებს.

---

[5] ორმაგი განათლების სისტემა ერთ სასწავლო კურსში ახორციელებს პროფესიულ სასწავლებელში თეორიულ და პროფესიულ განათლებას. ეს სისტემა პრაქტიკულად რამდენიმე ქვეყანაში, კერძოდ გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში და გერმანიის გერმანულენოვან გაერთიანებაშია. ასევე, რამდენიმე წელია სამხრეთ კორეაში.

[6] ინფორმაცია იხილეთ ბმულზე : https://en.wikipedia.org/wiki/List_of_universities_in_Germany

1997 წელს, მცირე ბიზნესის ბავარიის კოლეჯი გახდა პირველი გერმანული კოლეჯი, რომელმაც შემოიღო ინდივიდუალური ფორმა მიმღები სტუდენტების შესარჩევად.

მაშ შემდეგ, ყოველი კერძო უნივერსიტეტის ნებაზეა დამოკიდებული სტუდენტთა მიღების როგორ ფორმას დანერგავს ის პრაქტიკაში.

გერმანულ კერძო უნივერსიტეტებში დანერგილი სტუდენტების შერჩევის უნიკალური ფორმა, გახლავთ სამი ზეპირი ინტერვიუს მეთოდი, რომელსაც ატარებს სპეციალური საბჭო. აღნიშნულ საბჭოში შედიან ბიზნესმენები და სხვა არასამთავრობო მეცნიერები. პოტენციური სტუდენტი მხოლოდ ამ ინტერვიუს პროცესს იღებს კონკრეტული თემის შესახებ, რის შემდეგაც ამზადებს სტატიას აღნიშნულ თემაზე. შესაბამისი სტატიის განხილვის შემდეგ დაკმაყოფილდება ან არდაკმაყოფილდება მისი განაცხადი უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების თაობაზე.

საბჭოს წევრები აცნობიერებენ, რომ შერჩევის ეს ფორმა არ წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ საუკეთესო და წარმატებულ სტუდენტების მიღების გარანტიას. ნებისმიერ შემთხვევაში კონკრეტული უნივერსიტეტის მიერ დანერგილი ფორმა სტუდენტების შერჩევისა ფოკუსირებული უნდა იყოს ფრაზაზე - "თანაბარი შესაძლებლობები"(https://www.german-way.com/history-and-culture/education/universities-in-germany/).

§1.3. უმაღლესი განათლების ისტორია ლიტვაში

აღნიშნულ თავში შემოგთავაზებთ მსჯელობას ლიტვაში უმაღლესი განათლების ისტორიის შესახებ. ჩვენ მიერ წარმოდგენილი მსჯელობა ეფუძნება კოლორადოს უნივერსიტეტის დოქტორის, ჯ. საკალისის სტატიას ,,უმაღლესი განათლება ლიტვაში“ (J. Sakalys 1985).

განსახილველად აღებული სტატია წარმოადგენს ლიტვაში უმაღლესი განათლების ისტორიულ მიმოხილვასა და ანალიზს. ამ მიმოხილვის მიზნებია:

- ლიტვის უმაღლესი განათლების განვითარების შესწავლა
- საბჭოთა მმართველობის პერიოდში გატარებული რეფორმების აღწერა

- თეზისის განხილვა რომ "უნივერსიტეტები ვითარდებიან როგორც თავიანთი ეროვნული, ნაციონალური გარემოებების ნაწილი, ასევე საერთაშორისო აკადემიური სუბკულტურის მონაწილეები"

უმაღლესი განათლების დამკვიდრება ლიტვაში

სტატიაში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ლიტვას აქვს უმაღლესი განათლების გრძელი ტრადიცია, სტატიაში საუბარია, თუ როგორ რეაგირებდნენ საგანმანათლებლო დაწესებულებები ქვეყნაში შექმნილ პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებაზე.

ლიტვაში, როგორც ბევრ სხვა ევროპულ ქვეყანაში, პირველმა ფორმალურმა სკოლამ ფუნქციონირება დაიწყო ვილნიუსში (1397) საკათედრო ტაძარის სახით. პირველი საშუალო სკოლა, რომელიც განვითარდა ზემოთხსენებული საკათედრო სკოლიდან, გახლავთ კრაკოვის აკადემია, რომლის კურიკულუმი გაფართოვდა რიტორიკის, დიალექტისა და მუსიკის სწავლების შემოტანით. აღნიშნული აკადემია უზრუნველყოფდა სასულიერო სწავლებისთვის კანდიდატების მომზადებას. მიუხედავად იმისა, რომ კრაკოვის უნივერსიტეტი ლიტველი თავადაზნაურებისთვის, ე.წ ელიტარული ფენისათვის იყო გამიზნული, მაინცდამაინც დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა და იქ განათლების მისაღებად მიდიოდნენ მხოლოდ სასულიერო კვლევების ჩატარების მსურველი ახალგაზრდები (J. Sakalys 1985).

დასავლეთ ევროპულ უნივერსიტეტებში შესასვლელად სტუდენტთა მომზადების მიზნით, 1539 წელს, ჩამოყალიბდა კიდევ ერთი საშუალო სკოლა ვილნიუსში, რომელიც სპეციალიზებულია ლათინურ, ბერძნულ და კლასიკურ ლიტერატურაში. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ სკოლებში სწავლების პროცესის ეფექტურობისათვის იყენებდნენ საზღვარგარეთ არსებულ საგანმანთლებლო დაწესებულებებში დანერგილ პრაქტიკას, მათზე საკმაოდ დიდი მოთხოვნა იყო.

მე -16 საუკუნეში დასავლეთ ევროპიდან წამოსულმა რეფორმაციის ტალღამ და რელიგიურმა კონფლიქტებმა გამოიწვია ახალი რელიგიური ხასიათის სკოლების ჩამოყალიბება. მათ შორის, რელიგიური თვალსაზრისით უპირატესობის მქონე ერთ-ერთი პიროვნება იყო იესოუსი, რომელმაც 1569 წელს ვილნიუსში ხუთკლასიანი

კოლეჯი დაარსა. 1579 წელს პოლონეთის მეფე ბატორმა და ლიტვის დიდმა ჰერცოგმა (პაპის გრიგორი XII- სთან ერთად) ეს სკოლა აღიარეს უნივერსიტეტად. იესოუსის სასწავლო გეგმა ფოკუსირებული იყო ჰუმანიტარულ მიმართულებაზე, ასევე აქცენტი კეთდებოდა ენებზე, ლიტერატურასა და ფილოსოფიაზე. შესავალი სასწავლო გეგმა (სკოლამდელი) შედგებოდა ხუთი კლასისგან. შემდეგი საფეხურის სასწავლო პროგრამა (უმაღლესი სკოლა), კურიკულუმი, ორიენტირებულია ფილოსოფიისა და თეოლოგიის შესწავლაზე, სადაც შეიძლება მიიღონ ბაკალავრის, ლიცენზიანტის და დოქტორის ხარისხი. 1641 წელს, აღნიშნულ სასწავლებელს დაემატა სამართლისა და მედიცინის ფაკულტეტები. ყველა კურსი იკითხებოდა ლათინურ ენაზე (J. Sakalys 1985).

ადმინისტრაციული თვალსაზრისით, აკადემიას ხელმძღვანელობდა რექტორი, რექტორს ეხმარებოდა უნივერსიტეტის კანცლერი და ქვედა კლასების მართვას ახორციელებდა ქვედა კლასების მმართველთან ერთად.

სტატიაში წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 1579 წელს უნივერსიტეტს ჰყავდა 500 სტუდენტი. ხოლო 1618 წლისთვის, ესწრებოდა 1200-ზე მეტი სტუდენტი (J. Sakalys 1985).

განსახილველად აღებული სტატიის თანახმად, ვილნიუსის უნივერსიტეტი იყო ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი ევროპაში და უმაღლესი განათლების პირველი ინსტიტუტი ლიტვაში. იგი გახდა სამეცნიერო და კულტურული საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი და ფართოდ აღიარებული საგანმანათლებლო ცენტრი აღმოსავლეთ ცენტრალურ ევროპაში მე -17 საუკუნის შუა პერიოდამდე.

მე -17 და მე -18 საუკუნეებში ლიტვაში მოხდა რუსული ინტერვენცია, რასაც მოჰყვა შვედეთის შემოჭრა, ამ ყველაფერმა კი უნივერსიტეტის მნიშვნელობის და გავლენის შემცირება გამოიწვია. მხოლოდ მე -18 საუკუნის ბოლო წლებში, ქვეყანამ სცადა თავისი საგანმანათლებლო ინსტიტუტების აღდგენა. თუმცა, ვილნიუსის უნივერსიტეტის აღდგენა დაემთხვა იეზუიტის ორდენის (Jesuit order) გაუქმებას (J. Sakalys 1985).

ახლა კი ვისაუბროთ მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ ძალებზე, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ლიტვის უმაღლესი განათლების სტრუქტურაზე.

1773 წელს, პაპმა კლემენტ XIV-მ გააუქმა იეზუიტთა ორდენი. დახურა ყველა იეზუიტთა ყველა სკოლა ლიტვაში, მათ შორის, ვილნიუსის უნივერსიტეტი. პოლონეთისა და ლიტვის საგანმანათლებლო სისტემის ადმინისტრირების მიზნით, ეროვნულმა საგანმანათლებლო კომისიამ შეიმუშავა განათლების ახალი რეფორმა. რეორგანიზაციის შედეგად, ჩამოყალიბდა იერარქიული და ცენტრალიზებული განათლების სისტემა, შეიქმნა საჯარო და კერძო დაწყებითი სკოლები, შუა ან რაიონული და ასევე მთავარი სკოლები. ორივე ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემების რეორგანიზაციისას, პოლონეთის კომისიის წევრებს ჰქონდათ შეთავაზება, რომ შეექმნათ უნივერსიტეტი საშუალო სკოლისა (University a secondary school) და ამტკიცებდნენ, რომ კრაკოვის აკადემია, რომელიც მსახურობდა უმაღლესი განათლების სისტემას, სჭირდებოდა ორივე ქვეყანას. თუმცა, ლიტვის ვიცე-კანცლერმა ეს წინადადება უარყო და აღნიშნული აკადემია აქცია ლიტვის მთავარ სკოლად, ეს მოხდა 1781 წელს (J. Sakalys 1985).

1795 წელს უნივერსიტეტი კვლავ საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, როდესაც ავსტრია, რუსეთი და პრუსია პოლონეთისა და ლიტვის თანამეგობრობას იყოფდნენ. ორი წლის შემდეგ უნივერსიტეტმა (თავდაპირველად იესოუსის მიერ დაარსებული ვილნიუსის ხუთკლასიანი კოლეჯი) მიიღო ახალი სტატუსი და კიდევ ერთი ახალი სახელი, ვილნიუსის მთავარი სკოლა. 1803 წელს Czar- მა გადააქცია ძირითადი სკოლა ვილნიუსის საიმპერატორო უნივერსიტეტად. შედეგად, მას მიენიჭა ფართო უფლებები და ფუნქციები:

- სამეცნიერო კვლევა
- კურიკულუმისა და პედაგოგების მომზადება
- საგანმანათლებლო სისტემის ზედამხედველობა.

პირველი ათწლეულის განმავლობაში ვილნიუსის საიმპერატორო უნივერსიტეტი ცენტრალური აღმოსავლეთ ევროპის წამყვანი უნივერსიტეტი გახდა და მას გააჩნდა უფრო ძველი ტრადიციები, ვიდრე ტარტუს უნივერისტეტს ესტონეთში (1632), ტურკუს უნივერსიტეს ფინეთში (1640), რუსეთის პირველი უნივერსიტეტს მოსკოვში (1695) (J. Sakalys 1985).

სტატიაში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 1816 წლისთვის ყველა ლექცია და კურსი იკითხებოდა პოლონურ ენაზე. თუმცა დისერტაციები ლათინურ ენაზე დაიწერა. ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო ლიტვის ენა არ ისწავლებოდა არც უნივერსიტეტში და არც რომელიმე სხვა სკოლაში.

ნაპოლეონის ომების მიმდინარეობის პროცესში, რომელიც ვილნიუსში დადებითად მიიღეს, უნივერსიტეტი გახდა დივერსიული სტუდენტური საზოგადოების თავშეყრის ადგილი, რომლის პოლიტიკური მიზანი იყო პოლონეთ-ლიტვის თანამეგობრობის აღდგენა. ამ წარუმატებელი ამბოხების შემდეგ, ნიკოლოზ I-მა დახურა უნივერსიტეტი და ლიტვა დარჩა ერთი უმაღლესი სასწავლებლის გარეშე თითქმის საუკუნის მანძილზე.

პირველი რუსული რევოლუციის დროს (1905), ლიტველმა ხალხმა მოითხოვა ავტონომია, მათი ეს გადაწყვეტილება კი გამოიწვია თითქოს რუსეთის მხრიდან გაზრდილმა სიკეთემ. ამ სკოლების ჩამოყალიბებისა და მხარდაჭერის მიზნით ჩატარდა რამდენიმე საგანმანათლებლო რეფორმა, რომელთა უმრავლესობას 1907 წელს ვილნიუსში დაფუძნებული ლიტვის საზოგადოება სწავლობდა. აღნიშნული საზოგადოება დაკომპლექტებული იყო ერის მეცნიერთა უმრავლესობით, მწერლებით, მხატვრებით, მუსიკოსებით და პედაგოგებით. იგი ფუნქციონირებდა 1941 წლამდე. როდესაც მიმდინარეობდა ლიტვის განათლების სფეროში არსებული დეფიციტური მიმდინარეობების კომპენსირება - ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდში და დამოუკიდებლობის პირველ წლებში (J. Sakalys 1985).

პირველი მსოფლიო ომი და დამოუკიდებლობა

სტატიის ავტორის თქმით, 1915 წელს რუსებმა დატოვეს ლიტვა და შემდეგ ქვეყანის ოკუპაცია მოახდინეს გერმანელებმა, რომლებიც ერეოდნენ საგანმანათლებლო სისტემაშიც. 1918 წელს, პოლონეთთან, რუსეთთან და გერმანიასთან ბრძოლის სერიის შემდეგ, ლიტვამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, თუმცა ამ პროკლამაციას მოჰყვა რამდენიმე წლიანი ბრძოლა რუსებთან და ტერიტორიული ბრძოლა პოლონეთთან. 1920 წელს, ლიტვისა და საბჭოთა რუსეთს შორის სამშვიდობო შეთანხმებას ხელი მოეწერა. ამ ხელშეკრულებაში საბჭოთა რუსეთმა აღიარა ლიტვა, როგორც სუვერენული

და დამოუკიდებელი სახელმწიფო და გააუქმა ლიტვის ტერიტორიებზე არსებული ყველა მოთხოვნა. მოგვიანებით 1920 წელს, ერთა ლიგის ეგიდით, ლიტვამ და პოლონეთმა ხელი მოაწერეს ორ ქვეყანას შორის საზღვრის საარბიტრაჟო შეთანხმებას (J. Sakalys 1985).

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ლიტვის ახალმა მთავრობამ სცადა მთლიანი საგანმანათლებლო სისტემის აღდგენა და ვილნიუსის უძველესი უნივერსიტეტის განახლება, რომელიც 1832 წლიდან აღარ ფუნქციონირებდა. ვილნიუსი, რომელიც დარჩა ოკუპირებული პოლონელების მიერ. მან აღადგინა ინსტიტუტი 1919 წელს და აღნიშნულს უწოდა სტეფან ბატერის უნივერსიტეტი.

ამავდროულად, ლიტვის მთავრობამ გახსნა კაუნის დროებითი კაპიტალის უნივერსიტეტი (J. Sakalys 1985).

ჯ. საკალისის განმარტებით, აღნიშნული უნივერსიტეტი ოფიციალურად გაიხსნა 1922 წლის 16 თებერვალს ლიტვის დამოუკიდებლობის მეოთხე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე და ეწოდა ლიტვის უნივერსიტეტი, თუმცა რამდენიმე სახელით ფუნქციონირებდა. პირველი წლის განმავლობაში უნივერსიტეტში 50 ფაკულტეტი არსებობდა. სასწავლო გეგმა თავდაპირველად თანხვდებოდა რუსეთის იმპერიული უნივერსიტეტების სასწავლო გეგმას, რომლებიც აქცენტირებული იყო ძირითადი და გამოყენებითი მეცნიერებებზე, როგორიცაა ფიზიკა, ქიმია და მედიცინა. თუმცა, ეტაპობრივად, სასწავლო გეგმა დასავლეთ ევროპის მოდელს მოარგეს, რომელშიც ყურადღება მახვილდებოდა ლიბერალურ განათლებაზე (J. Sakalys 1985).

ლიტვის უნივერსიტეტი ანუ კაუნასის უნივერსიტეტი სწრაფად ვითარდებოდა. მოკლე პერიოდში, უნივერსიტეტმა რამდენიმე მნიშვნელოვან ამოცანას მიაღწია:

- ლიტვური სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა;
- ლიტვურ ენაზე სახელმძღვანელოების გამოცემა;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარება.

სტატიაში წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 1922-1940 წლებში უნივერსიტეტი დაამთავრა 3,800 სტუდენტმა.

ამგვარად, 1940 წლამდე, კაუნასის უნივერსიტეტი იყო ყველაზე დიდი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ლიტვაში. როგორც სწავლისა და კვლევის ცენტრმა,

უნივერსიტეტმა მოიზიდა ლიტვის მეცნიერთა უმრავლესობა, ამ ყველაფერმა კი ხელი შეუწყო ერის კულტურულ და სოციალურ პროგრესს. განსაკუთრებით დიდი ნაბიჯები გაკეთდა სხვადასხვა მიმართულებით ჩატარებულ კვლევებში, კერძოდ, ლიტვურ ენაზე, ფოლკლორში, ლიტერატურასა და ისტორიაში. თუმცა, ეს მაჩვენებელი მეორე მსოფლიო ომის დროს შემცირდა (J. Sakalys 1985).

მეორე მსოფლიო ომის დროს ლიტვის საგანმანათლებლო სისტემა კიდევ ერთხელ აღმოჩნდა საფრთხის წინაშე. 1939 წელს, საბჭოთა შეიარაღებული ძალებმა ვილნიუსი აიღეს პოლონეთის მხრიდან. მალე ლიტვამ რადიკალური პოლიტიკური, კულტურული და სოციალური ცვლილებები განიცადა და მთელი სასწავლო სისტემა მოარგეს საბჭოთა მოდელს. საბჭოთა კავშირის მოდელის თანახმად, უარი თქვეს ტექნიკურ სწავლებაზე. რელიგიასთან, პატრიოტიზმთან და დემოკრატიასთან დაკავშირებული ყველა მიმდინარეობა აღმოიფხვრა. კაუნასის უნივერსიტეტში თეოლოგიის ფილოსოფიის ფაკულტეტი დაიხურა, რექტორი შეცვალეს და დაახლოებით 20 პროფესორი გაათავისუფლეს. საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ბევრი ადამიანი დააპატიმრეს, ან დეპორტაცია გაუკეთეს. კაუნასის უნივერსიტეტი 1944 წელს გაიხსნა, მაგრამ 1949 წელს მოსკოვიდან წამოსული ბრძანების გამო დაიხურა. ხოლო 1950 წელს გადაკეთდა პოლიტექნიკურ და სამედიცინო ინსტიტუტად. საბჭოთა კავშირი განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა ლიტვური ლიტერატურისა და ისტორიის სწავლებას (J. Sakalys 1985).

სტატიის დახმარებით შეგვიძლია წარმოდგენა შევიქმნათ საბჭოთა პერიოდის ლიტვის უმაღლესი განათლების სიტემაზე.

ლიტვის საგანმანათლებლო სისტემის რეორგანიზაციისა და გარდაქმნის პროცესში გამოყენებული იქნა მესამე ღონისძიება, რომელსაც "სტუდენტის სხეულის სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესება" უწოდეს. ეს ღონისძიება მოიცავდა:

- დაჩქარებული საშუალო სკოლის პროგრამა "მუშაკებისა და გლეხების" გადამზადება კაუნასისა და ვილნიუსის საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

დაშვების სისტემა, რომელიც გამოიძიებდა და მონიტორინგს უწევდა განმცხადებლებისა და მათი ოჯახების პოლიტიკურ საქმიანობას (J. Sakalys 1985).

აღნიშნული საქმიანობის შესახებ წარმოდგენას შეგვიქმნის ამონარიდი ბენდელიუის (1960) განცხადებიდან:

"მიმღები კომისიის ძირითადი ამოცანა იყო ის, რომ საზოგადოებას გაეცნობიერებინა, თითქოს, სოციალურად და პოლიტიკურად უცხოური ელემენტები უმაღლეს განათლებას ვერ მიიღებენ, უნდა აღინიშნოს, რომ იდეოლოგიური განწყობის, სოციალური კლასისა და პოლიტიკური მოტივების გამო ბევრ აპლიკანტს, რომელსაც სურდა უმაღლესი განათლების მიღება, ეუბნებოდნენ უარს" [J. Sakalys 1985: 73].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კაუნასის უნივერსიტეტი რეორგანიზებულია პოლიტექნიკურ ინსტიტუტად, რომელიც შემდგომში ლიტვაში უმაღლესი განათლების უმსხვილეს ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. ვილნიუსის უნივერსიტეტი დარჩა ერთადერთი უნივერსიტეტი ლიტვაში. 1955 წელს მან შეიცვალა სახელი და გახდა ლიტველების კომუნისტური ლიდერის, ვინკას კაპსუკას, სახელობის ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 1970-1975 წლებში აღნიშნული უნივერსიტეტი დაამთავრა 10,000 სტუდენტმა. 1978 წელს უნივერსიტეტში ჩაირიცხა 16,500 სტუდენტი და 1979 წელს მისი 400 წლის იუბილე აღინიშნა (J. Sakalys 1985).

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პერიოდში ლიტვის საგანმანთლებლო სისტემამ განიცადა დიდი სტრუქტურული და იდეოლოგიური ცვლილებები, ლიტვაში უმაღლესი განათლება არ ითვლება სრულიად საბჭოთა კავშირში არსებული მოდელის იდენტურად. წარმოგიდგენთ პროკუტას შეფასებას.

სტრუქტურული ცვლილებებისა და იდეოლოგიური მუშაობის მიუხედავად, მათ (ლიტვის უმაღლესი სასწავლებლები) უარყვეს საბჭოთა ეთოსი.... შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის მხრიდან გადადგმული ეს ნაბიჯები (ლიტვის საგანმანათლებლო სისტემის რეორგანიზაციისა) წარმატებული არ აღმოჩნდა" [J. Sakalys 1985: 92].

ჯ. საკალასის თქმით, ლიტვისთვის მნიშვნელოვანი საკითხი იყო დამოუკიდებელი ეროვნული მემკვიდრეობის შენარჩუნება და გადაცემა სწორედ უმაღლესი განათლების სისტემის დახმარებით. შესაბამისად, ამ ანალიზში ავტორი იზიარებს ალბასის თეზისს, რომლის თანახმადაც, ქვეყანას უმაღლესი განათლების განვითარება შეუძლია თავისი ეროვნული გარემოს ფარგლებში.

სტატიის ავტორის მოსაზრებით, თეზისი, რომლის მიხედვითაც თანამედროვე ლიტვის უმაღლესი განათლება წარმოადგენს საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემის ნაწილს, სადავოა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა განათლების სისტემა აგრძელებს სამეცნიერო, ტექნიკურ და საგანმანათლებლო გაცვლებს ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. ეს გაცვლები და მსგავსი ურთიერთობა აღნიშნულ ქვეყნებს შორის ნაკლები აკადემიური მნიშვნელობისაა (J. Sakalys 1985).

§1.4. უმაღლესი განათლების ისტორია საქართველოში

საკითხი, რომლის შესახებაც შემოგთავაზებთ მსჯელობას არის უმაღლესი განათლების ისტორია საქართველოში და საგანმანათლებლო კერები, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე განათლების სისტემის საფუძველს.

მართალია, საუკუნეების უკან საერთოდ არ არსებობდა ტერმინი ინტერნაციონალიზაცია და შესაბამისად, მისი თანამედროვე გაგება, თუმცა აღსანიშნავია, რომ ქართველი სტუდენტები მიდიოდნენ საზღვარგარეთ სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში. იღებნდენ განათლებას და ჩვენს ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ უზიარებდნენ ქართულ საზოგადოებას იქაურ გამოცდილებას. ამ პროცესის შედეგად კი საქართველო ხდებოდა საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი.

საკითხს მიმოვიხილავთ გ. თავზიშვილის ,,უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში“ და ,,ქართული პედაგოგიკის ისტორიაზე“ დაყრდნობით, რომელშიც საფეხურებრივად არის განხილული და საუბარი იმ კერებზე, მსოფლიო სამეცნიერო ცენტრებზე, რომლებიც იზიდავდა საქართველოს.

როგორც ცნობილია მე-4 საუკუნეში საქართველო ბიზანტიის რეგიონს წარმოადგენდა და ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა ელინური კულტურის გავრცელება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, დღევანდელი ფოთის ტერიტორიაზე არსებული კოლხეთის რიტორიკული სკოლა, რომელიც III-VI საუკუნეების უმაღლესი საფეხურის სასწავლებელს წარმოადგენდა. ამ დაწესებულებაზე ცნობები მოიპოვება ბერძენი ფილოსოფოსის თემისტიოსის წერილში, რომლის მიხედვითაც კოლხეთის უმაღლესი

რიტორიკული სკოლა თავისი შინაარსით ბევრად არ განსხვავდებოდა ბერძნულ-რომაული სკოლებისაგან. ისიც მნიშვნელოვანია, რომ სასწავლებელში იღებდნენ ბერძნული ენის მცოდნე ახალგაზრდებს. აქედან კი შეგვიძლია დასკვნის გამოტანა, რომ იმ პერიოდის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სასწავლებელი ნამდვილად ახდენდა საერთაშორისო, ამ შემთხვევაში ბერძნულ-რომაული ტენდენციების გავრცელებას. ქართველ ახალგაზრდებს შეეძლოთ დაუფლებოდნენ იმ ცოდნის მინიმუმს, რაც ,,ორატორისთვის ციცერონისა და კვინტილიანეს შეხედულებით იყო გათვალისწინებული".

თავზიშვილი საუბრობს ბერძნული კულტურის ადრეულ ცენტრზე ათინაზე, რომელიც გახლდათ იმ პერიოდის მე- 4 საუკუნის ყველაზე ძლიერი საერო კულტურის ცენტრი.

მეცნიერის ცნობით, იმ დროს ათინის აკადემიაში სწავლობდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან წასული სტუდენტები. მათ შორის კაბადოკიიდან და არა მხოლოდ კაბადოკიიდან. რომის კულტურის ისტორიკოსი ი. ცვეტაევი მოიხსენიებს აკადემიაში მყოფ ახალგაზრდებს, რომლებიც პონტოს სანაპირო მხარეებიდან იყვნენ წარმოშობით. *,,პროერესიას მხარი დაუჭირა მთელმა სტუდენტთა ახალგაზრდობამ, რომელიც ჩთამომავლობით იყვნენ პონტიის სანაპირო მხარეებიდან, აგრეთვე სომხეთის კაბადოკიის, ვიფიის და მცირე აზიის მთელ დასავლეთ ნაწილიდან"* . [გ. თავზიშვილი 1938: 10].

თავზიშვილი ამასთან დაკავშირებით გამოთქვამს საინტერესო მოსაზრებას და გვეუბნება, რომ თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ გარემოებას, რომ კაბადოკიაში მცხოვრებთაგან მე-4 საუკუნეში უმთავრესად ქართული ტომები იყვნენ, შესაძლოა ათინაში მოსწავლე კაბადოკიელ სტუდენთა შორის ქართველებიც ვიგულისხმოთ (გ. თავზიშვილი 1938).

იმ შემთხვევაში, თუ თავზიშვილის ამ მოსაზრებას სამართლიანად მივიჩნევთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და სტუდენტთა საერთაშორსო პრაქტიკა ჯერ კიდევ მე- 4 საუკუნეში არსებობდა.

ეს მხოლოდ ვარაუდის დონეზე. თუმცა ეს ვარაუდი რეალობად გადაიქცა მე-10 საუკუნეში. როდესაც საზღვარგარეთ აღმოცენდა ქართული უმაღლესი განათლების

კერა-ათონის ივერთა მონასტერი. აღნიშნული კერა დაარსდა ივერიელთა მიერ, ბალკანეთის ნახევარკუნძუკლზე. კერა, სადაც ღვთისმეტყველების გარდა, მიმდინარეობდა მეცნიერული მუშაობა ფილოსოფიის, ლიტერატურის, ისტორიის დარგში.

ამ კონკრეტულ ლიტერატურულ სკოლაში ხორციელდებოდა მთარგმნელობითი საქმიანობა, თუმცა როგორც კ. კეკელიძე შენიშნავს, *,,თითქმის არც ერთ მის მიერ (ექვთიმე ათონელი) ნათარგმნ თხზულებაში დედანი უცვლელად მოცემული არაა...ის იძლეოდა ახალ რედაქციას ამა თუ იმ თხზულებისას, უცხო ძეგლები მის მიერ გაქართულებულია. ამით ქართველმა მოღვაწემ ცხადად დაანახა ბერძნებს შემოქმედებითი უნარი ქართველებისა"*[კ. კეკელიძე 1960 : 212-213].

კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ათონის ივერთა მონასტერი და იქ მყოფი ქართველების მოღვაწეობა წარმოადგენს ინტერნაციონალიზაციის ნიმუშს მეტყველებს ათონის მთაზე მოღვაწე ერთ-ერთი ქართველი ბერის იოანე მთაწმინდელის მიზანი, რომელიც ცდილობდა ქართული მწერლობის შევსებას იმ ლიტერატურით, რაც მას აკლდა მსოფლიო ლიტერატურასთან შედარებით (გ. სიხარულიძე 1972).

თავზიშვილის ცნობით, *,,ათონის ივერთა აკადემია თავიდანვე გადაიქცა ქართველი ახალგაზრდობის მიმზიდველ ცენტრად. XI-XII საუკუნეების თაობა იქ ღებულობდა დროის შესაფერის უმაღლეს განათლებას და იძენდა მეცნიერული კვლევის უნარს"*[გ.თავზიშვილი 1938 : 15].

ლიტერატურული საქმიანობის და ბერძნული ტენდენციების გაზიარების გარდა, გიორგი მთაწმინდელი აქტიურ მონაწილეობას იღებს საქართველოს სახელმწიფო საქმეებში. როგორც ცნობილია, ის ზრუნავდა ქართველი ახალგაზრდების განათლებაზე და ხელს უწყობდა მათ მიერ საგანმანათლებლო ხასიათის მოგზაურობის განხორციელებას საზღვარგარეთ.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი აფასებს ათონის ივერთა მონასტრის მნიშვნელობას და იქ მყოფი ქართველი ბერების მოღვაწეობას. მისი თქმით, ზოგადად საზღვარგარეთ დაარსებული ქართველთა სავანეების მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო. განსაკუთრებით კი ათონის ივერთა მონასტრისა. ი. ჯავახიშვილის შენიშვნით, უცხოეთში დაარსებული მონასტრების საშუალებით, ქართველებს შეეძლოთ თვალი

ედევნებინათ მაშინდელი განთლებული ქვეყნების კულტურისა და მათ მიერ მიღწეული ყოველი წარმატებისათვის. რაც მთავარია, იქ მოღვაწე ქართველი ბერების მიერ საუკეთესო თხზულებანი ითარგმნებოდა ქართულად. შედეგად, ქართველები ხდებოდნენ მაშინდელი საერთაშორისო - ბერძნული ტენდენციების გამზიარებელნი (გ. სიხარულიძე 1974).

უმღლესი განათლების კიდევ ერთ მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა მე-11 საუკუნის დასასრულს ბულგარეთში, პეტრიწონის ქართულ მონასტერთან არსებული სამეცნიერო აკადემია, რომელიც 1083 წელს პეტრიწონის მონასტერთან ერთად დაუარსებია გრიგოლ ბაკურიანისძეს. აქ თითქოს ვხვდებით ერთგვარ წინააღმდეგობას. წყაროების მიხედვით დასტურდება, რომ პეტრიწონის აკადემიაში სწავლა-განათლება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე და იქ არსებული წესდების თანახმად აკადემიაში შესვლა ეკრძალებოდა სხვა ეროვნების (ამ შემთხვევაში ბერძენს) წარმომადგენელს. ეს კი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ პეტრიწონის აკადემია და ქართველი ახალგაზრდების მოღვაწეობა იქ, სულაც არ მივიჩნიოთ ინტერნაციონალიზაციის ნიმუშად. თუმცა არსებობს კონტრარგუმენტიც. კ.კეკელიძის შენიშვნით, პეტრიწონის აკადემიაში მასწავლებლებად მოწვეულნი იყვნენ ადამიანები, რომლებსაც განათლება ჰქონდაათ მიღებული მანგანის (კონსტანტინოპოლის) აკადემიაში (კ. კეკელიძე 1960).

ეს თავისთავად ცხადყოფს იმას, რომ შესაძლოა ქართულ ენაზე არა, თუმცა აუცილებლად მოხდებოდა საერთაშორისო ღირებულებების, ტენდენციების გადაცემა და ინტეგრირება პეტრიწონის აკადემიაში მყოფი პედაგოგების მიერ, რადგან თავის დროზე სწორედ ამ ტენდეციებზე იყვნენ აღზრდილნი მანგანის აკადემიაში სტუდენტები.

კიდევ ერთ მყარ არგუმენტად შესაძლოა მივიჩნიოთ პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილის მოსაზრება, რომელიც ფიქრობს რომ აღნიშნულ აკადემიაში ისწავლებოდა ყველა ის საგანი, რაც იმ პერიოდის წამყვანი, განათლებული ქვეყნების სისტემით იყო განსაზღვრული. ამ საგნების ერთობლიობას კი ,,ტრივიუმ-კვადრივიუმუს“ სახელით იცნობდნენ (ფილოსოფია, გრამატიკა, რიტორიკა, მუსიკა, ასტრონომია, არითმეტიკა, გეომეტრია). ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ პეტრიწონის აკადემიაში ინტერგირებული იყო საერთაშორისო ტენდენციები, და შესაბამისად,

აღნიშნული აკადემია მე 11-12 საუკუნეების სწავლა-განათლების ერთ-ერთ უმთავრეს ცენტრს წარმოადგენდა.

რაც მთავარია ქართველი სტუდენტები იქ სწავლის პერიოდში ცდილობნენ არა მხოლოდ ბერძნულ - ბიზანტიური ტენდენციების გადმოტანას ქართულ კულტურაში, არამედ ქართული ღირებულები გაჰქონდათ ქვეყნის ფარგლებს გარეთ და აცნობდნენ მას უცხოელებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საზღვარგარეთ არსებულ კერებში განთლების მიღების შემდეგ ახალგაზრდები ბრუნდებოდნენ სამშობლოში და მათ ნაცვლად უცხოეთში მიემგზავრებოდა განათლების მიღების მსურველთა ახალი გუნდი (გ. თავზიშვილი 1938).

თავზიშვილის ცნობით, საქართველოში დაბრუნებული განათლებული მოქალაქეები მუშაობას იწყებნდნენ სახელმწიფო სამსახურში. განსაკუთრებით კი ჯანმრთელობის დაცვის და სახალხო განათლების დარგში (გ. თავზიშვილი 1938).

XII საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე იქმნება უმაღლესი საგანმანათლებლო კერები და ეს კერები აუცილებლად უნდა მივიჩნიოთ ინტერნაციონალიზაციის ნიმუშად.

საუბარი დავიწყოთ გელათის აკადემიით. აღნიშნული აკადემიის შექმნის საფუძველი გახდა საქართველოში არსებული კულტურული ვითრება და ქართველი ხალხის მოთხოვნები, რომელსაც ვერ აკმაყოფილებდა საზღვარგარეთის კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, მათი სიშორის გამო.

გელათის აკადემიაში დავით აღმაშენებელმა თავი მოუყრა საზღვარგარეთ მყოფ ცნობილ ქართველ სწავლულებს და კიდევ იქ მყოფი პედაგოგების მიერ აკადემიაში გაჩაღდა იმდენად ღრმა სასწავლო-პედაგოგიური და სამეცნიერო კვლევითი მუშაობა, რომ გელათის აკადემია ,,სხვა ათინად“, ,,მეორე იერუსალიმად მოიხსენიებოდა“. მსგავსი პარალელების გავლება იმ დროის ისტორიკოსების მიერ ნამდვილად გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ გელათის აკადემია წარმოადგენდა ინტერნაციონალიზაციის ნიმუშს, რადგან იქ არსებულ სასწავლო პროგრამებში აუცილებლად იქნებოდა ინტეგრირებული საერთაშორისო ტენდენციები და პრინციპები (გ. სიხარულიძე 1974).

მე-12 საუკუნის საქართველოში ასევე არსებობდა მეორე აკადემია, იყალთოს აკადემიის სახით, რომლის ხელმძღვანელი კონსტანტინოპოლის აკადემიაში განათლებამიღებული არსენ იყალთოელი გახლდათ.

გ. თავზიშვილის თქმით, ამ ორი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა და სწავლების შინაარსი ანალოგიური იყო დასავლეთში არსებული კონსტანტინოპოლის (მანგანის) აკადემიისა. მანგანის აკადემიისა, რომელშიც არსებობდა იურისპრუდენციის, ფილოსოფიის, რიტორიკის, დიდაქტოლოგიის კათედრები. გ. თავზიშვილის განმარტებით, აღნიშნულ ქართულ აკადემიებში *,,თუ ფაკულტეტები არა, სათანადო განყოფილებები და დარგები მაინც არსებობდნენ, რომლებიც საერთო საღვთისმეტყველო და ფილოსოფიურ მეცნიერებათა გარდა სხვადახვა სპეციალურ დისციპლინებსაც აერთიანებდნენ და გარკვეული ცოდნის სპეციალისტებსაც ამზადებდნენ".* [გ. თავზიშვილი 1938 : 70]

ინტერნაციონალიზაციის მაგალითს წარმოადენს მე-13 საუკუნეში კათოლიკე მისონერების ჩამოსვლა საქართველოში, რომლებიც სხვადასხვა ორდენის წარმომადგენლები გახლდათ (დომინიკიანები, ფრანჩისკიანები და ა.შ). ეს მისიონერები ძირითადად დასავლეთ ევროპის დახელოვნებული მზვერავები იყვნენ და თავიანთი საქმიანობის წარმატებულად განხორციელების მიზნით ჩვენში აფუძნებდნენ საკუთარ ეპარქიებსა და ეკლესიებს. გარდა ამისა, სწავლობდნენ ქართულ ენას. თუმცა ამის მიუხედავად, მათი მოღვაწეობა ნაყოფიერი აღმოჩნდა ქართველებისთვის. მათ მიერ დაარსებულ სკოლებში ქართულ ენასთან ერთად ისწავლებოდა ევროპული ენები და ქართველი ახალგაზრდები ნამდვილად აქტიურად ეცნობოდნენ კულტურულ ტენდენციებს და სიახლეებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა იმ პერიოდის ევროპაში (გ. სიხარულიძე 1974).

ინტერნაციონალიზაციის აშკარა ნიმუშს წარმოადგენს მე-17 საუკუნეში არსებული სიახლე. 1670 წლიდან ქართველებისთვის იყო განკუთვნილი ორი ადგილი რომის უმაღლეს თეოლოგიურ სასწავლებელში. სადაც იგზავნებოდნენ წარმატებული სტუდენტები თბილისის სკოლის კურსდამთავრებულთაგან.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერეკლე II-ის დროს, 1755 წელს დაარსებულ თბილისის საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ სემინარიასა და 1758 წელს გახსნილ

თელავის საფილოფოსო-საღვთისმეტყველო სკოლაზე, (1782 წელს სემინარიად გადაკეთდა), რომელთა ორგანიზების მიზნით მიდიოდნენ რუსეთში და სპეციალურად ეცნობოდნენ იქაურ ლიტერატურას, საგანმანათლებლო საქმეს, სასწავლო პროგრამებს, პრაქტიკას (გ. სიხარულიძე 1974).

შესაბამისად, ახდენდნენ ახალი ტენდენციების გაზიარებას და მის ინტეგრირებას ქართულ საგნმანათლებლო კერებში.

მოკლე წარმოდგენა შევიქმნათ აღნიშნულ ქართულ სემინარიებზე. ანჩისხატის ტაძრის ეზოში, 1755 წლის იანვარში დაარსებული საღვთისმეყველო-ფილოსოფიური სემინარიის რექტორად დანიშნეს ფილიპე ყაითმაზაშვილი, რომელსაც ქართულ წყაროებში (ქართული პედაგოგიკის ისტორია) დაცული ინფორმაციის თანახმად *„ზედმიწევნილ ფილოსოფოსად“* იხსენიებდნენ [გ. სიხარულიძე 1974 : 99].

აღნიშნული პიროვნება ერეკლე მეფეს 1758 წელს გახსნილი თელავის საფილოფოსო-საღვთისმეტყველო სკოლის რექტორად დაუნუშნავს. ჩვენ მიერ ხსენებული სკოლა 1782 წელს სემინარიად გადაკეთდა და მის პირველ რექტორად გაიოზი გვევლინება. გაიოზ რექტორის მოღვაწეობა ხანმოკლე, თუმცა ნაყოფიერი აღმოჩნდა. წყაროებში დაცული ცნობების თანახმად, 1783 წელს ის როგორც რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცებისათვის მებრძოლი, მიდის რუსეთში და იქ აგრძელებს მოღვაწეობას. თელავის სემინარიის ახალ რექტორად დავით ალექსიშვილ-მესხიშვილი გვევლინება (გ. სიხარულიძე 1974).

გაცილებით საინტერესოა ის თუ როგორ კურიკულუმი ჰქონდათ დანერგილი თბილისისა და თელავის აღნიშნულ სემინარიებში და არსებობდა თუ არა თანხვედრა იმ პერიოდის ქართულ და რუსულ საგანმანათლებლო სისტემას შორის.

გ. სიხარულძის სახელმძღვანელოში დაცული ინფორმაციის თანახმად, ქართულ სემინარიებში ასწავლიდნენ საგნებს, რომლებიც ასევე ისწავლებოდა რუსეთის მაღალი ტიპის სასწავლებლებში, კერძოდ, სლავურ-ბერძნულ-ლათინულ აკადემიაში. (გრამატიკა, რიტორიკა, პოეტიკა, ლოგიკა, მეტაფიზიკა, ფიზიკა, საეკლესიო ისტორია, საღვთო სჯული, სამოქალაქო ისტორია, არითმეტიკა და სხვა) (გ. სიხარულიძე 1974).

ზემოთ მოყვანილი მაგალითების ფონზე შეგვიძლია თამამად გამოვთქვათ მოსაზრება, რომ საქართველოში უძველესი დროიდან მოყოლებული გვქონდა

ინტერნაციონალიზაციის შემთხვევები. პირველ რიგში იმიტომ, რომ ბევრი ქართველი ახალგაზრდა მიდიოდა იმ პერიოდის სახელგანთქმულ აკადემიაში განათლების მისაღებად. განათლებამიღებული თაობები ბრუნდებოდნენ ქვეყანაში და ხდებოდნენ ახალი საერთაშორისო ღირებულებების გამავრცელებელნი. ხოლო მეორე არგუმენტად, შესაძლოა მივიჩნიოთ, მე-11 საუკუნიდან მოყოლებული საქართველოს ტერიტორიაზე არსებული აკადემიები, სადაც სწავლების შინაარსი და სტრუქტურა იმ პერიოდის სახელგანთქმულ საგანმანთლებლო დაწესებულებებში არსებული სტრუქტურის მსგავსი იყო. ამ გზით კი ქართველი ახალგაზრდები ნამდვილად ხდებოდნენ საერთაშორისო ღირებულების მატარებელი, გლობალური საზოგადოების წევრები, რომლებიც უდიდეს ზეგავლენას ახდენდნენ ჩვენი ქვეყნის განვითრებაზე სწავლების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

თავი II - ბოლონიის პროცესი

§2.1. ბოლონიის პროცესის მიზნები

თანამედროვე სამყაროში, გლობალიზაციის პროცესის დაჩქარებასთან ერთად, მოიშალა საზღვრები ქვეყნებს შორის, გაიზარდა კონკურენცია და ამ კონკრენტუნარიან გარემოში უმაღლესი განათლების მიღება ასოცირდება არა მხოლოდ ცალკეული პროფესიის დაუფლებასთან, არამედ გლობალური ღირებულებების მატარებელი მოქალაქის აღზრდასთან. სწორედ ამ კონკურენტუნარიან გარემოში გვიწევს ჩვენ საკუთარი თავის რეალიზება.

ამ გარემოებამ კი ,,აიძულა" ქართული უნივერსიტეტები, რომ თავი დაენახათ განსხვავებულ ჭრილში და უზრუნველყოთ ისეთი კურსდამთავრებულების გამოშვება, რომლებიც შესაბამის რეაგირებას მოახდენდნენ სამყაროში მიმდინარე გლობალიზაციის თანმდევ მოვლენებზე. ეს გააცნობიერეს ქართულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა და დაიწყეს ფიქრი სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტარციული პერსონალის საერთაშორისო პრაქტიკაზე, დაგეგმეს სხვადასხვა სახის აქტივობები.

ჟურნალ ,,ეკონომისტში" გამოქვეყნებულ სტატიაში ,,უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია გლობალიზაციის ეპოქაში", გაჟღერებულია ნაითის და დე ვითის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ რით აიხსნება უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სურვილი რა კონკრეტული ფაქტორები შეიძლება გახდეს მოტივატორი თითოეული უნივერსიტეტისათვის.

ავტორი გამოყოფს რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორს:

1. ეკონომიკურ-პოლიტიკური არგუმენტი - ეკონომიკური ზრდა და მომავლის ეკონომიკაში ინვესტიცია, დასაქმების ბაზარი, ფინანსური მოლოდინი.
2. კულტურულ-საგანმანათლებლო მიზეზები - პიროვნების განვითარება, კვლევებსა და სწავლებაში ხარისხის გაუმჯობესება (ო. ალფენიძე 2014).

ამ ყველაფრის განხორციელებას, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტი დამოუკიდებლად ვერ მოახერხებს, ამიტომ საჭიროდ მივიჩნევთ ვისაუბროთ დოკუმენტებზე, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარა უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბებას.

1999 წლის 19 ივნისს ევროპის 29 ქვეყნის განათლების მინისტრმა დეკლარაციაზე ხელისმოწერით საფუძველი ჩაუყარა პროცესს, რომლის მიზანია უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბება (EHEA). თუმცა, ბოლონიის პროცესს საფუძველი ჩაეყარა უფრო ადრე - 1998 წელს სორბონის კონფერენციის დეკლარაციით, რომელსაც ხელი მოაწერა 4-მა ქვეყანამ (საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და იტალია) (ნ. კუპრაშვილი 2014).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბოლონიის დეკლარაციაზე ხელმოწერას წინ უსწრებდა შემდეგი დოკუმენტების მიღება: უნივერსიტეტის დიდი ქარტია (1988 წ), ლისაბონის კონვენცია (1997წ), სორბონის დეკლარაცია (1998წ).

მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეულის არსი.

უნივერსიტეტის დიდი ქარტიის (1988 წ) პრეამბულაში იმედს გამოთქვამდენენ იმის შესახებ, რომ ევროპული უნივერსიტეტები გააცნობიერებდნენ უნივერსიტეტის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციას. რომ მისი მთავარი დანიშნულებაა გაავრცელოს ცოდნა ახალგაზრდა თაობებს შორის. ხელისმომწერი მხარეები ასევე იზარებდნენ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად დაედებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობას.

- *უნივერსიტეტი არის ავტონომიური დაწესებულება, კვლევა და სწავლება ზნეობრივად და ინტელექტუალურად დამოუკიდებელი უნდა იყოს ნებისმიერი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლებისაგან;*
- *უნივერსიტეტში სწავლება და კვლევა განუყოფელი უნდა იყოს ერთმანეთისგან, რათა სასწავლო პროცესი არ ჩამორჩეს მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებს და სამეცნიერო ცოდნის მიღწევებს;*
- *უნივერსიტეტი მიისწრაფის უნივერსალური ცოდნისკენ, აქედან გამომდინარე, არ ცნობს გეოგრაფიულ და პოლიტიკურ საზღვრებს.* [უნივერსიტეტების დიდი ქარტია 1988 : 1-2].

ლისაბონის კონვენციაში (1997 წ) საუბარია განათლებაზე, როგორც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროცესზე ქვეყნებს შორის ურთიერთანამშრომლობის გაღრმავების საქმეში. კონვენციის ხელმომწერი მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ ხელს

შეუწყობენ ნებისმიერი პიროვნების სურვილს სხვა ქვეყნის საგანმნათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების თაობაზე.

ლისაბონის კონვენციაში ყურადღებაა გამახვილებული სწავლების პერიოდის, უმაღლესი განათლების კვალიფაკაციის ცნობაზე და იმ მექანიზმებზე, რომელთა ამოქმედება თოთოეულ მხარეს მიზნის მიღწევაში დაეხმარება (ლისაბონის კონვენცია 1997).

მნიშვნელოვანია სორბონის დეკლარაცია, რომელსაც 1998 წლის 25 მაისს ხელი მოაწერა საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის და გაერთიანებული სამეფოს განათლების მინისტრებმა. აღნიშნული დეკლარაცია მიზნად ისახავდა ,,ცოდნის ევროპის“ შექმნას, რომელიც გულისხმობდა აღნიშნული კავშირის ინტელექტუალური, კულტურული, სოციალური, ტექნიკური განზომილებების გაძლიერებას. ოთხივე მხარე თანხმდება, რომ ხელს შეუწყობენ ბარიერების გაუქმებას და სწავლების ისეთი მოდელის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს თანამშრომლობის განვითრებას (სორბონის დეკლარაცია 1998).

გარდა ზემოთგანხილული დოკუმენტებისა, ბოლონიის პროცესის სივრცეში არსებობს სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები: პარიზის კომუნიკე (2018), ერევნის კომუნიკე (2015), ბუქარესტის კომუნიკე (2012), ბუდაბეშტი-ვენის დეკლარაცია (2010), ლუვენის კომუნიკე (2009), ლონდონის კომუნიკე (2007), ბერგენის კომუნიკე (2005), ბერლინის კომუნიკე (2003).

დღესდღეობით, ბოლონიის პროცესი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროცესს და ამჟამად აღნიშნულ პროცესში ჩართულია 48 ქვეყანა, რომლებიც ქმნიან ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეს (EHEA).[7]

ბოლონიის დეკლარაციაში უშუალოდ არის საუბარი მიზნებზე, რომელზეც უნდა გავიდეს უმაღლესი განათლების ევროპული სისტემა. მარტივი განმარტებით, ბოლონიის პროცესის მიზანია ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის (EHEA) შექმნა აკადემიური ხარისხის სტანდარტებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების ჰარმონიზებით თითოეული ფაკულტეტისათვის ევროპის მასშტაბით. თუმცა საინტერესოა, რა კონკრეტულ ნაბიჯებით უნდა მივიდნენ ბოლონიის პროცესის

[7] ინფორმაცია იხილეთ ბმულზე : https://eqe.ge/geo/static/71/Internationalization/bologna-process

მონაწილე ქვეყნები მიზნამდე. დეკლარაციის ხელმომწერი ქვეყნები შეთანხმდნენ თანამშრომლობაზე შემდეგი მიმართულებით:

,,შესადარებელი და ერთმანეთთან თავსებადი აკადემიური ხარისხების სიტემების შემოღება, აკადემიური განათლების ორსაფეხურიანი სისტემის ჩამოყალიბება _ დიპლომამდელი (ბაკალავრიატი) და დიპლომისშემდგომი (მაგისტრატურა/ დოქტორანტურა) საფეხურები" [დ.ლეჟავა., მ. ამაშუკელი 2016 :13] - დოკუმენტში არსებული ეს კონკრეტული დებულება გულისხმობს ერთიანი ხარისხის სისტემის შემოღებას ჯერ ორსაფეხურიანი _ ბაკალავრიატი-მაგისტრატურა, შემდეგ კი სამსაფეხურიანი საგანმანათლებლო სისტემის სახით: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა. დეკლრაციაზე ხელმოწერის შემდეგ, პროცესის მონაწილე ყველა ქვეყანა იღებდა ვალდებულებას აღნიშნული სისტემის დანერგვაზე, აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტების საერთაშორისო მობილობის ხელშესაწყობად.

განათლების საფეხურების სტანდარტიზაციით შეიქმნა სივრცე, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს, სხვადასხვა ქვეყანაში აიმაღლოს კვალიფიკაცია, მაგ. ბაკალავრიატი ერთ ქვეყანაში დაასრულოს, მაგისტრის ხარისხი _ მეორე ქვეყნის უნივერსიტეტში, ხოლო დოქტორის ხარისხი მესამე ქვეყანაში მიიღოს. საქართველოში უმაღლესი განათლების საფეხურებსა და მათ სტრუქტურას განსაზღვრავს ,,საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ", რომლის თანახმადაც, საბაკალავრო პროგრამა არ შეიძლება მოიცავდეს 240 კრედიტზე ნაკლებს, უმაღლესი განათლების მეორე საფეხური, მაგისტრატურა არ უნდა მოიცავდეს 120 კრედიტზე ნაკლებს, ხოლო სადოქტორო საფეხური - 180 კრედიტზე ნაკლებს (დ.ლეჟავა., მ. ამაშუკელი 2016).

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ეროვნული სისტემის (ECTS) შექმნა- *,,ამ სისტემის ფარგლებში სტუდენტებს უფლება ეძლევათ, საზღვარგარეთ სწავლის შედეგად მიღებული კრედიტების აღიარება მოითხოვონ მათსავე მშობლიურ უნივერსიტეტში, იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელზეც სწავლობენ ხარისხის მისაღებად, ან პირიქით, მშობლიურ უნივერსიტეტში მიღებული კრედიტები გამოიყენოს საზღვარგარეთ სწავლისას".* [დ.ლეჟავა., მ. ამაშუკელი 2016 :19]

ხარისხის უზრუნველყოფის შესადარებელი კრიტერიუმების ჩამოყალიბება და უმაღლეს განათლებაში ევროპული განზომილებების დანერგვა - *ეს უკანასკნელი გულისხმობს ,,სტუდენტების მობილობას ევროპის უნივერსიტეტებს შორის, ინტერდიციპლინური და ერთობლივი აკადემიური პროგრამების დანერგვასა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას. განსხვავებული პოლიტიკური, კულტურული და აკადემიური ტრადიციების მქონე ევროპის ქვეყნები, ჩაებმებიან თანამშრომლობაში საერთო მიზნების მისაღწევად „* [დ.ლეჟავა., მ. ამაშუკელი 2016 :24].

ადმინისტრაციული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია **ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფი - BFUG** - ის არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბოლონიის პროცესის დამხმარე აღმასრულებელ სტრუქტურას მინისტრთა კონფერენციებს შორის. იგი დაარსდა 1999 წელს.

ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფის ზოგადი ფუნქციები:

- პოლიტიკური ხასითის კონფერენციებისა და ფორუმების მომზადება
- ბოლონიის პროცესის ზედამხედველობა
- პასუხისმგელბლობის აღება ისეთ საკითხებსა და გადაწყვეტილებებზე, რომლებიც არ საჭიროებენ მინისტრთა ჩართვას. [8]

2018 წლის 1 ივლისიდან 2020 წლის 30 ივნისამდე ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფის სამდივნო ფუნქციონირებს იტალიაში, როგორც ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის (EHEA) 2020 წლის მინისტრთა კონფერენციის ორგანიზატორ ქვეყანაში.

ბოლონიის პროცესის სამეთვალყურეო ჯგუფის მიერ მიღებული 2018-2020 წლების დებულების თანახმად, სამეთვალყურეო ჯგუფს ეკისრება შემდეგი ფუნქციები:

- BFUG- ისა და მისი ადმინისტრაციისთვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის უზრუნველყოფა, მათ შორის შეხვედრის დროის დაგეგმვა.
- სამუშაო ჯგუფების, მრჩეველთა ჯგუფებისა და სხვა სტრუქტურების მხარდაჭერა და მათი მოთხოვნის შემთხვევაში, პროექტების მომზადება;
- უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ვებსაიტისა და არქივების განახლება;

[8] ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://eqe.ge/geo/static/71/Internationalization/bologna-process

- მნიშვნელოვანი შეტყობინებების გაზიარება წევრებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის;
- ორგანიზატორთა მოთხოვნის საფუძველზე გარე ღონისძიებებში წარმომადგენლობის უზრუნველყოფა;
- BFUG- ის საბჭოს მხარდაჭერა ევროპის სამეცნიერო სივრცის (ERA) ურთიერთთანამშრომლობის შესაქმნელად;
- იტალიის მინისტრთა კონფერენციის მომზადება (2020) და ბოლონიის პოლიტიკის ფორუმის ფარგლებში; [9]

§2.2. მობილობა, როგორც ბოლონიის პროცესის ნაწილი

როგორც ვხედავთ ბოლონიის პროცესის ძირითად დოკუმენტებში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობაზე, ქვეყნებს შორის ბარიერის გაუქმებასა და თანამშრომლობის განვითრებაზე. კრედიტების სისტემის, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის, როგორც სტუდენტების მობილობის ხელშემწყობი საშუალების შემოღება იყო ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი მიზანი. ამიტომ, მანამ სანამ უშუალოდ საქართველოში არსებულ ვითარებაზე ვისაუბრებთ, მოკლედ მიმოვიხილოთ მობილობა, როგორც ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი.

ბოლონიის პროცესის შემადგენელი ერთ-ერთ დოკუმენტში, ლონდონის კომუნიკეში გაჟღერებული ინფორმაციის მიხედვით *,,პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მობილობა ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რაც, თავის მხრივ, ავითარებს პიროვნულ შესაძლებლობებს, აძლიერებს საერთაშორისო თანამშრომლობას ადამიანებსა და ინსტიტუციებს შორის, ზრდის უმაღლესი განათლებისა და კვლევის ხარისხს და ხელს უწყობს ევროპული განზომილების დამკვიდრებას“.* [ლონდონის კომუნიკე 2007 : 2].

საერთაშორისო-სამეცნიერო ჟურნალ ,,ინტელექტში“ გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, სტუდენტის მობილობა გულისხმობს სტუდენტის მიერ ერთი

[9] ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:
http://www.ehea.info/media.ehea.info/file/20160118-Chisinau/BFUG_AU_CH_63_5%20ToR%20Secretariat.pdf

საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მეორეში გადასვლას, მის მიერ დაგროვილი კრედიტების გამოყენებით.

1. სტუდენტს შეუძლია გადავიდეს ერთი საგანმნათლებლო პროგრამიდან მეორეზე-დაწესებულების შიგნით (შიდა საუნივერსიტეტო მობილობა)
2. სტუდენტს შეუძლია მიღებული კრედიტები გადაიტანოს ყოფილი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს დაწესებულებაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთ (გ. ჩაჩანიძე.,ო. ერაი 2015).

განსახილველად აღებულ სტატიაში საუბარია მობილობის ტიპებზე. მობილობის სამი სახე გამოიყოფა:

1. გაცვლითი მობილობა - ამ შემთხვევაში, სტუდენტის ნება-სურვილზეა დამოკიდებული მიიღოს თუ არა გამოცდილება საზღვარგარეთ. მასპინძელ უნივერსიტეტში ხანმოკლე ან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.
2. ქსელური მობილობა და კურიკულუმი - ერთ-ერთი უნივერსიტეტი, ფაკულტეტი ან დეპარტამენტი რამდენიმე პარტნიორთან ერთად ქმნის კავშირს. მოთხოვნადი უნივერსიტეტი პარტნიორ დაწესებულებაში აგზავნის სტუდენტებს. მხოლოდ იმ მიზნით, რომ წარმოადგინონ საკუთარი სასწავლო პროგრამა საზღვარგარეთ.
3. დანერგილი მობილობა და კურიკულუმი- ამ შემთხვევაში, შეზღუდული რაოდენობის პარტნიორები (ფაკულტეტი, დეპარტამენტი, პროგრამა) ჩართულნი არიან კონსორციუმში, რომელშიც სტუდენტები ახორციელებენ საგანმანათლებლო ტრაექტორიას ორ ან მეტ პარტნიორ ინსტიტუტში. ამავდროულად, ამ პარტნიორი ინსტიტუტის სტუდენტები იმავე მოქმედებას ასრულებენ უკვე დანერგილი მობილობის საშუალებით. რაც შეეხება სასწავლო პროგრამას, ის სრულად სინქონიზებულია (გ. ჩაჩანიძე.,ო. ერაი 2015).

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესმა ბოლო წლების განმავლობაში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა განათლების ხარისხის ამაღლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით. ინტერნაციონალიზაცია მოიცავს

სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას, ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებსა და კვლევითი პროექტების ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობას.

ბოლონიის პროცესის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება, რომელიც თავისთავად გულისხმობს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითრებისათვის ხელისშეწყობას და ამ სფეროში არსებული ხელისშემშლელი ბარიერების მინიმიზაციას.

ლეჟავა, ამაშუკელის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკაში განასხვავებენ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ორ ფართო მიმართულებას - საგარეო და საშინაო ინტერნაციონალიზაციას. *,,საგარეო ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს ფიზიკური პირების, პროექტების, პროგრამებისა მობილობას. საშინაო ინტერნაციონალიზაცია ფოკუსირებულია ინტერკულტურული უნარების, გლობალური ხედვის განვითარებასა და ეროვნული საგანმანათლებლო კურიკულუმების ამ მიმართულებით ადაპტირებაზე. შესაბამისად, საგარეო ინტერნაციონალიზაციის მთავარი კომპონენტებია კრედიტების, ხარისხისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობა და ტრანსნაციონალური განათლება"*[დ.ლეჟავა., მ. ამაშუკელი 2016: 124].

საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გლობალიზაციის პირობებში, საერთაშორისო პარტნიორობა და მობილობა უდიდეს მნიშვნელობას იძენს განათლების ხარისხის ამაღლების და კონკურენტუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით. დღესდღეობით არსებობს უამრავი პროგრამა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისკენ მიმავალი, მისასალმებელი იქნება ის, თუ ეს საკითხი გაცილებით მეტ დაინტერესებას გამოიწვევს, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ასევე სახელმწიფოს მხრიდან. ეს შესაძლოა გამოიოხატოს საკანონმდებლო სისტემის დონეზე აღნიშნული პროცესის გამარტივებასა და ბარიერების აღმოფხვრაში, რომელიც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის განვითარების პროცესში.

თავი III - ERASMUS + პროგრამა

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი გახლავთ ქართველი სტუდენტების ინფორმირებულობის დონის განსაზღვრა ერასმუსის პროგრამის მიმართ, საჭიროდ მივიჩნევთ, თეორიულად მიმოვიხილოთ ერასმუსის პროგრამა და წარმოდგენა შევიქმნათ მასზე.

ერასმუსის + პროგრამა დაფინანსების სქემაა განათლების, ტრენინგის, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროებში საქმიანობის მხარდასაჭერად (https://eacea.ec.europa.eu/erasmus-plus).

პროგრამა ეროვნულ დონეზე იმართება ეროვნულ სააგენტოების მიერ, ხოლო ევროპულ დონეზე EACEA- ს მიერ. ერასმუსის ძირითადი მიმართულებებია:

- ინდივიდუალური მობილობა
- ურთიერთანამშრომლობა ინოვაციების დანერგვის და პრაქტიკის მიღების მიზნით
- მხარდაჭერა მმართველობითი რეფორმების გატარებისას

სამოქმედო მიზნიდან გამომდინარე, ის გვაძლევს შესაძლებლობას:

- ფიზიკურ პირებს, რომ გავატაროთ მოხალისეობის ან მობილობის პერიოდი საზღვარგარეთ და გავიაროთ უცხო ენის პრაქტიკა.
- ორგანიზაციებს, რომ ითანამშრომლონ პროექტის პარტნიორებთან აკადემიური და პროფესიული მომზადების,ზრდასრულთა სწავლების და სხვა სფეროებში, რომლებსაც პროექტები მოიცავს.[10]

ერასმუსის პროგრამა სამ მიმართულებად იყოფა. აღნიშნულ ნაშრომში შემოგთავაზებთ მსჯელობას თოთოეული მიმართულების შესახებ და ასევე, ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების შესახებ წლების მიხედვით.

[10] ინფორმაცია იხილეთ ბმულზე : https://eacea.ec.europa.eu/erasmus-plus



სქემა 3.1

§ 3.1. ტემპუსი (Tempus)

პირველ რიგში, რამდენიმე სიტყვით მომივიხილოთ ტემპუსის პროგრამა და ვისაუბროთ მის მიზანზე.

„Tempus-ი ევროგაერთიანების პროგრამაა, რომლის მიზანი გახლავთ უმაღლესი განათლების რეფორმის ხელშეწყობა და თანამშრომლობის განვითარება ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებს შორის. აღნიშნულმა პროგრამამ ფუნქციონირება დაიწყო 1990 წელს და მოიცავდა დასავლეთ ბალკანეთის, აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიის, ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის 27 ქვეყანას“ [Tempus & Erasmus Mundus საქართველოში 2014: 2].

ტემპუსის სამოქმედო გეგმა შემდეგში მდგომარეობს:

- ერთობლივი პროექტების ამოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის გაცვლასა და ცოდნის გაზიარებას პარტნიორ ქვეყნებში და მათ საგანმანთლებლო დაწესებულებებს შორის.
- სტრუქტურული ღონისძიებები პარტნიორ ქვეყნებში ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულებების სისტემურ განვითარებას.
- ტემპუსის პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება და საინფორმაციო საქმიანობის განხორციელება.[11]

როგორც აღმოჩნდა, ტემპუსის უმთავრესი მიზანი არის პარტნიორი ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის განვითრება.

რაში გამოიხატება პარტნიორი ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლების ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა? აღნიშნული პროცესი გულისხმობს ევროპული სტანდარტების დანერგვას, *,,თანამედროვე სასწავლო პროგრამების შემუშავებას, უახლესი სასწავლო ლიტერატურით მომარაგებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას, უნივერსიტეტების მენეჯმენტის გაუმჯობესებას, საუნივერსიტეტო რეფორმას, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვასა და განვითარებას, უნივერსიტეტის ბაზაზე არააკადემიური კადრების მომზადებას და სხვა აქტივობებს"* [Tempus & Erasmus Mundus საქართველოში 2014 : 2].

მნიშვნელოვანია, რომ ტემპუსის პროექტები საქართველოში ხორციელდება 1995 წლიდან.

ერასმუსის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, 1995 წლიდან მოყოლებული საქართველოს 9 ქალაქიდან 30 ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (თბილისი, ბათუმი, გორი, ქუთაისი, თელავი, ახალციხე, ზუგდიდი, ახალქალაქი, წნორი) მონაწილეობდა ტემპუსის პროექტებში.

,,პროგრამის ფარგლებში საქართველოს უნივერსიტეტები თანამშრომლობდა პარტნიორებთან ევროპის თითქმის ყველა ქვეყნიდან (მალტისა და ლუქსემბურგის გარდა). ყველაზე მეტი პროექტი განცხორციელდა ბრიტანეთის (35 პროექტი),

[11] ინფორმაცია იხილეთ ბმულზე : https://eacea.ec.europa.eu/sites/2007-2013/tempus-programme_en

გერმანიის (27), იტალიის (21), საფრანგეთისა (20) და ესპანეთის (18) უნივერსიტეტებთან"[Tempus & Erasmus Mundus საქართველოში 2014 : 3].

1995-2013 წლების ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია, ამ კონკრეტულ მონაკვეთში, ტემპუსის პროგრამის ფარგლებში საქართველოში განხორციელებული პროექტების ზუსტი რაოდენობის შესახებ.[12]

პროექტის ტიპი	Tempus I-II	Tempus III			Tempus IV				საერთო რაოდენობა
წელი	1990-1999	2000-2006	2008	2009	2010	2011	2012	2013	
ერთობლივი პროექტები	5	16	3	3	4	4	10	14	59
კომპაქტური პროექტები	5	0	0	0	0	0	0	0	5
სტრუქტურული ღონისძიებები	0	3	0	1	1	1	2	5	30
საერთო რაოდენობა	10	19	3	4	5	5	12	19	30

ცხრილი 3.1.1

შედარების მიზნით, შემოგთავაზებთ შემდგომ წლებში ტემპუსის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების რაოდენობას (2015-2018 წლების ანგარიშის მიხედვით).[13]

[12] ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: http://erasmusplus.org.ge/ka/projects/before-2014

[13] ინფორმაცია იხილეთ ბმულზე : http://erasmusplus.org.ge/files/files/CBHE/CBHE%202015-2018.pdf

წელი	ტემპუსის ფარგლებში განხორციელებული პროექტების რაოდენობა
2015	5
2016	9
2017	5
2018	5

ცხრილი 3.1.2

2015 წ

1. დაუცველი ჯგუფებისთვის უმაღლესი განათლების წვდომაზე ორიენტირებული პროგრამები.
2. უმაღლესი განათლების ინტერდისციპლინარული რეფორმა ტურიზმის სფეროში (მართვა და გამოყენებითი გეოინფორმაციული კურსები).
3. მშვიდობის კვლევაში სამაგისტრო სასწავლო პროგრამის შექმნა.
4. ომბუცმენის პოზიციის მეშვეობით ადვოკატირების დამკვიდრება სტუდენტებში.
5. EUCA-INVEST (ინვესტირება კავკასიისა და ცენტრალური აზიის სამეწარმეო უნივერსიტეტებში).

2016 წ

1. სამოქალაქო განათლებისა და დემოკრატიული პრინციპების ხელშეწყობის მიზნით ისრაელისა და საქართველოში სასწავლო გეგმის რეფორმა.
2. სამოქმედო კვლევა ინოვაციური მეცნიერების სწავლებისა და კარიერის ორიენტაციაში
3. მიგრაციის სწავლების ხელშეწყობა უმაღლესი განათლების სფეროში.
4. უნივერსიტეტის საწარმო თანამშრომლობა spin-off კომპანიების ქსელში.
5. დახმარება უკეთესი კომუნიკაციისათვის

6. მდგრად მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება-დამატებითი რესურსები ჩინეთისა და საქართველოსთვის.
7. საინჟინრო განათლებაში ინოვაციური კომპეტენციების და სამეწარმეო უნარების გაძლიერება.
8. სწავლება პილოტებისთვის (თვითმფრინავისთვის).
9. ინტერგრაციული მობილურობისა და ხელმისაწვდომობის ხარისხისა და კაპიტალის უზრუნველსაყოფად საჭირო გზების მოძიება (http://erasmusplus.org.ge/files/files/CBHE/CBHE%202015-2018.pdf)

2017 წ

1. შეფასების ინსტრუმენტები ახალი სასწავლო გარემოსთვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
2. ცვლილება საკლასო ოთახში: ინოვაციური სწავლების ხელშეწყობა და სწავლა სტუდენტის გაძლიერების ხელშესაწყობად. სწავლის გამოცდილება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.
3. სამაგისტრო კურსი ტრანსპორტირებისა და ქალაქის ლოჯისტიკის მიმართულებით.
4. აკადემიური ხელშეწყობა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უმაღლესი განათლების სფეროში.
5. უნარ-ჩვევების გაუმჯობესება აგრო-კვების სპეციალისტებისთვის ლაბორატორიული პრაქტიკის მიმართულებით აღმოსავლეთ ევროპაში (http://erasmusplus.org.ge/files/files/CBHE/CBHE%202015-2018.pdf).

2018 წ

1. სადოქტორო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალურ მეცნიერებაში.
2. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების კვლევის შესაძლებლობების გაზრდა.

3. გარემოს დაცვის სასწავლო პროგრამების მოდერნიზაცია სომხეთსა და საქართველოში.
4. მედიაცია: ტრენინგი და საზოგადოების ტრანსფორმაცია.
5. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა გლობალური ქსელი- საერთაშორისო გაერთიანება ერთობლივი პროგრამების საშუალებით- VITAGLOBAL (http://erasmusplus.org.ge/files/files/CBHE/CBHE%202015-2018.pdf).

სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტემპუსის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების რაოდენობა ბოლო წლებში არ გაზრდილა და ის წინა წლების ნიშნულს უტოლდება. თუმცა განსახილველად აღებულ ლიტერატურაში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქართულმა საგანმანათლებლო სივრცემ განიცადა ერთგვარი რეფორმაცია მას შემდეგ რაც, ჩვენი ქვეყანა გახდა Tempus–ის პროგრამის მონაწილე.

აღნიშნული ცვლილებები განხორციელდა შემდეგი მიმართულებით: ახალი კურიკულუმის შემუშავება და აქამდე არარსებული პროფესიების გაჩენა (სოციალური მუშაკი, საინფორმაციო კვლევების სპეციალისტი). ECTS-ის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა, რამაც დააახლოვა საქართველოს უნივერსიტეტების პროგრამები ევროპულ სტანდარტებთან. განახლებული პროგრამების დანრეგვამ გაზარდა სტუდენტების რაოდენობა. ამ სფეროში განხორციელებული ჩვენ მიერ ხსენებული ცვლილებები დადებითად აისახა ქართული განათლების სისტემაზე (Tempus & Erasmus Mundus საქართველოში 2014).

§ 3.2. ერასმუს მუნდუსი (Erasmus mundus)

Erasmus Mundus (მობილობის პროგრამა)

ერასმუს მუნდუსი გახლავთ თანამშრომლობისა და მობილობის პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს როგორც ინსტიტუციურ დონეზე თანამშრომლობას, მაგალითად, ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების შემუშავება (degree mobility) ის ასევე გულისხმობს სტუდენტების (ბაკალავრები, მაგისტრანტები, დოქტორანტები), უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის ინდივიდუალურ გაცვლას შერჩეული

კონსორციუმის ფარგლებში (credit mobility). კონსორციუმში შედის ევროპისა და პარტნიორი ქვეყნების (საქართველოს) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

მოკლედ მიმოვიხილავ თითოეული მიმართულებას და ასევე მოგაწვდით ინფორმაციას სტატისტიკური მონაცემების შესახებ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ერასმუს მუნდუსის ერთი მიმართულება (degree mobility) გულისხმობს ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ამოქმედებას (2009 წლიდან) პარტნიორი ქვეყნების უნივერსიტეტებს შორის. პროგრამის მონაწილე სტუდენტს შეუძლია ისწავლოს კონსორციუმის წევრი ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში და შედეგად მიიღოს აკადემიური ხარისხი, რომელსაც უღიარებს როგორც გამშვები, ასევე მასპინძელი უნივერსიტეტი.

სტიპენდიის მოპოვების მიზნით, მსოფლიოს ყველა ქვეყნის სტუდენტს შეუძლია შეიტანოს განცხადება. 2012 წლის მონაცემებით, 2004-2012 წლების განმავლობაში 54 ქართველმა სტუდენტმა მოიპოვა ერასმუს მუნდუსის სტიპენდია. დოქტორანტი სტუდენტების შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი 2 -ს გაუტოლდა (Tempus & Erasmus Mundus საქართველოში 2014).

	საერთო რაოდენობა	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
სამაგისტრო საფეხური (EMMC)	54	2	3	3	5	10	9	7	3	12
სადოქტორო საფეხური (EMJD)	2	-	-	-	-	-	-	1	0	1

ცხრილი 3.2.1

2015-2018 წლების ანგარიში (degree mobility)

წელი	საფეხური	სტუდენტების რაოდენობა
2015	მაგისტრატურა	8
2016	მაგისტრატურა	15
2017	მაგისტრატურა	26
2018	მაგისტრატურა	21

ცხრილი 3.2.2

სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ ერასმუს მუნდოსის პროგრამაში ჩართული სტუდენტების რაოდენობა (degree mobility) ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც თავისთავად, მიუთითებს აღნიშნული პროგრამის აქტუალობაზე სტუდენტებში.

გაცილებით მნიშვნელოვანია ერასმუს მუნდუსის მობილობის პროგრამა, რომელიც სტუდენტების (ბაკალავრი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური ხასიათის გაცვლას გულისხმობს.

ერასმუსის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, Erasmus+ Credit Mobility პროგრამაში მონაწილე ქართული უნივერსიტეტების და მათი ევროპელი პარტნიორების სია მუდმივად განახლების პროცესშია. ამ ეტაპზე 29 ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თანამშრომლობს ევროპის 33 ქვეყნის უნივერსიტეტებთან (Erasmus+ ICM Data for Georgia 2018-19)

ერასმუსის 2007-2013 წლების ანგარშში წარმოდგენილია ამ პერიოდში (2007-2013) ინდივიდუალურ გაცვლით პროგრამაში ჩართული სტუდენტების რაოდენობრივი მონაცემები (Tempus & Erasmus Mundus საქართველოში 2014).

წელი	ბაკალავრი	მაგისტრატურა	დოქტორანტურა	პოსტ-დოქტორანტურა	პერსონალი	საერთო რაოდენობა
2007	16	14	11	5	3	49
2008	23	14	13	5	3	58
2009	22	17	12	5	3	59
2010	18	15	10	3	4	50
2011	18	12	13	8	9	60
2012	79	68	72	34	45	298
2013	92	65	51	22	43	273
საერთო რაოდენობა	268	205	182	82	110	847

ცხრილი 3.2.3

ერასმუსის 2018 წლის ანგარიშში წარმოდგენილია 2015-2018 წლებში ინდივიდუალურ გაცვლით პროგრამაში ჩართული სტუდენტების სტატისტიკური მონაცემები.[14]

წელი	საქართველოდან გასული სტუდენტების რაოდენობა	საქართველოში შემოსული სტუდენტების რაოდენობა	საერთო რაოდენობა
2015	695	190	885
2016	989	570	1559
2017	818	515	1333
2018	1109	699	1808
საერთო რაოდენობა	3611	1974	5585

ცხრილი 3.2.4

[14] ინფორმაცია იხილეთ ბმულზე : http://erasmusplus.org.ge/ka/projects/from-2014

სტატისტიკური მონაცემები მეტყველებს წლიდან წლამდე ერასმუს მუნდოსის პროგრამაში ჩართული სტუდენტების რაოდენობრივ ზრდაზე, რაც ერთი მხრივ დადებითად აისახება სტუდენტების კომპეტენციებზე, ასევე ის ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას უნივერსიტეტის და შემდგომ მთელი ქვეყნის მასშტაბით. საერთაშორისო მობილობა და სხვა ქვეყნის გამოცდილება უფრო ობიექტურ წამოდგენას უქმნის სტუდენტს სწავლების ხარისხის შესახებ. შედეგად, ის უფრო მომთხოვნი ხდება საკუთარი უნივერსიტეტში მიმდინარე სწავლების პროცესის ხარისხის მიმართ.

ერასმუს + ის პროგრამის შემადგენელი მნიშვნელოვანი დოკუმენტია ერასმუს + ის პროგრამაში ჩართული სტუდენტების ქარტია.

სტუდენტური ქარტია ხაზს უსვამს ერასმუსის პროგრამაში ჩართული სტუდენტების უფლებებსა და ვალდებულებებს. ის აწვდის ინფორმაციას ერასმუს + სტუდენტებს სწავლისა და ტრენინგების პერიოდში მოსალოდნელი ბარიერების შესახებ.

კერძოდ, Erasmus + Student Charter- ი ასახავს ერასმუსის + სტუდენტების ძირითად უფლებას, როგორიცაა თავისუფალი სწავლება და საზღვარგარეთ სწავლის ან სწავლის სრული აღიარება. ქარტია ასევე განსაზღვრავს პროგრამაში ჩართული სტუდენტების ძირითად ვალდებულებებს (Erasmus+ International Credit Mobility 2018).

ერასმუსის პროგრამაში ჩართული სტუდენტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა მოთხოვნის წაყენება კრედიტების აღიარების შესახებ. გარდა ამისა, მობილობის პერიოდის დასრულების შემდეგ მიმღები დაწესებულება უგზავნის გამგზავნ უნივერსიტეტს მოკლე დახასიათებას სტუდენტისას. პროგრამის ქვეყანა, რომლის წარმომადგენელი სტუდენტი იყო მობილობის მონაწილე, პასუხისმგებელია მობილობის ინსტრუმენტის ნომრის ან აღიარებული კრედიტების ან ეკვივალენტური დანაყოფების კოდირებაზე (Erasmus+ International Credit Mobility 2018).

ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში გამოყენებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია დიპლომის დანართი. ეს დოკუმენტი მიზნად ისახავს გააცნოს კურსდამთავრებულებს მათი მიღწევების ამსახველი საინფორმაციო ცნობარი. ამდენად, საზღვარგარეთ წარმატებით დასრულებული სასწავლო კურსის შემდეგ,

ინფორმაცია აისახოს დიპლომის დანართში იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ეს სტუდენტი იყო წასული და ასევე იმ ენაზე, რომელზეც შედგენილია დიპლომის დანართი. (დაწესებულების მითითებით, კრედიტები და შეფასება). გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მსგავსი პრაქტიკა ხელს უწყობს საკრედიტო მობილობის მართვასა და შემდგომ კრედიტების აღიარებას. რეალურად, აუცილებელია კონკრეტული ინსტიტუციური წესების არსებობა, რომლებიც დაკავშირებული იქნება სწავლის გამოცდილების აღიარების, საკრედიტო დაგროვებისა და სხვადასხვა ტიპის მობილობასთან. ინსტიტუტმა უნდა განსაზღვროს საკრედიტო მობილობის განხორციელებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებლობა და უზრუნველყოს, რომ განაცხადის პროცედურების და საკრედიტო მობილობის შერჩევის კრიტერიუმების სამართლიანობა (Erasmus+ International Credit Mobility 2018).

§ 3.3. ჟან მონე (Jean Monnet)

კიდევ ერთი მოდული, რომელიც წარმოადგენს ერასმუს პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას გახლავთ ჟან მონეს პროგრამა, რაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელებულ მოკლე სასწავლო პროგრამას ან კურსს წარმოადგენს ევროპათმცოდნეობის მიმართულებით. ჩვენ გთავაზობთ ოფიციალური მონაცემებს საქართველოში ჟან მონეს პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების შესახებ. (2008-2014 წწ).[15]

პროექტის სახელწოდება	პროექტის ტიპი	პროექტის მონაწილე ქართული საგანმანთლებლო დაწესებულება
ჟან მონეს თავჯდომარეები ევროპაში	ჟან მონეს თავჯდომარეები	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ცნობიერების ამაღლება თემაზე ევროკავშირის	საინფორმაციო და სამეცნიერო საქმიანობა	სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების

[15] ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:
http://erasmusplus.org.ge/files/files/Jean%20Monnet/2008-13%20Jean%20Monnet.pdf

მისია საქართველოში (საჯარო ტრენინგი)		ქართული ფონდი
ევროპული ინოვაციური პოლიტიკის სწავლების გაუმჯობესება საქართველოში	საინფორმაციო და სამეცნიერო საქმიანობა	ევროპული კვლევების და ინოვაციური განვითრების ასოციაცია (EGSIG)
ევროკავშირის რეგიონალური საინიციატივო პოლიტიკა როგორც მოდელი აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნებისათვის	საინფორმაციო და სამეცნიერო საქმიანობა	ევროპული კვლევების და ინოვაციური განვითრების ასოციაცია (EGSIG)
ევროპული სამართალი სამხრეთ კავკასია - ბათუმი	ევროპული მოდული	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ცხრილი 3.3.1

ჩვენ შევისწავლეთ თუ რა პროექტები განხორციელდა ჟან მპონეს პროგრამის მეორე ეტაპზე (2015-2018 წ) და წარმოგიდგენთ ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსებულ სტატისტიკურ მონაცემებს.

2015 წელი-1) "Promote Knowledge and Awareness of the EU at Grassroots Level in Georgia". პროექტს ახორციელებს საქართველოს რეფორმების ასოციაცია.

2) oping the European Studies in the Caucasus" პროექტში მონაწილეობენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2016 წელი- 1) Establishment of Jean Monnet Chair at ISU" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2)"Promoting teaching of European integration and increasing EU awareness in Georgia" კავკასიის უნივერსიტეტი.

3)Raising Awareness on Georgia's Europeanization in Academia" სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

4)"Disseminating Knowledge on EU-Georgian Association Agreement among Academic Communities in Georgia" ევროკავშირის კვლევების ასოციაცია

2017 წ - 1)"EU Studies Module for the Regional Universities of Georgia and MOOC (Massive Online Open Course) about the EU

2018 წ - 1) ,,Promoting Inter-Regional European Studies in the Caucasus (ASSOCIATION OF EUROPEAN STUDIES FOR THE CAUCASUS)" [16]

სტატისტიკური მონაცემები მეტყველებს წლიდან წლამდე ერასმუსის პროგრამაში ჩართული სტუდენტების რაოდენობრივ ზრდაზე, რაც ერთი მხრივ დადებითად აისახება სტუდენტების კომპეტენციებზე, ასევე ის ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას უნივერსიტეტის და შემდგომ მთელი ქვეყნის მასშტაბით. საერთაშორისო მობილობა და სხვა ქვეყნის გამოცდილება უფრო ობიექტურ წამოდგენას უქმნის სტუდენტს სწავლების ხარისხის შესახებ. შედეგად, ის უფრო მომთხოვნი ხდება საკუთარი უნივერსიტეტის მიმართ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერასმუსის პროგრამამ შეძლო თავისი ფუნქციების შესრულება, საქართველოს მასშტაბით, თუმცა პროგრამის კიდევ უფრო მეტი განვითრებისათვის და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, აუცილებელია სტუდენტების აზრის კვლევა, რამდენად ინფორმირებულები არიან ისინი აღნიშნული პროგრამის მიმართ და რა კონკრეტული წინაღობებები არსებობს, რომლის მოგვარებაც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება განათლების სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით.

[16] ინფორმაცია იხილეთ ბმულზე : https://ec.europa.eu/education/tools/statistics_en.htm

თავი IV - სტუდენტთა საერთაშორისო მობილობა

§4.1. მობილობის საკითხი გერმანიაში

როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, ე.წ ბოლონიის პროცესს საფუძველი ჩაეყარა ოთხი ქვეყნის (გერმანია, ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია) განათლების მინისტრის ინიციატივით, რომლებმაც 1998 წელს ხელი მოაწერეს სორბონის დეკლარაციას. ერთი წლის შემდეგ კიდევ 29 ქვეყნის მინისტრმა მოაწერა ხელი ბოლონიის დეკლარაციას. ხოლო 2011 წელს 47 ევროპული ქვეყანა შეუერთდა ზემოთხსენებულ პროცესს.

აღნიშნული პროცესი მიზნად ისახავს ერთიანი ევროპული საგანმანთლებლო სივრცის შექმნას, თავსებადობის გაზრდას, რაც გულისხმობს, კრედიტების აღიარებას, ორმხრივი სწავლების შემოღებას, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შექმნას და სტუდენტების მობილობის ხელშეწყობას.

თუმცა, სტუდენტების მობილობის პროცესის განვითარება არის ბოლონიის პროცესის უმთავრესი ამოცანა. იქიდან გამომდინარე, რომ გერმანია არის ქვეყანა, რომელიც ერთ-ერთი პირველი შეუერთდა ამ პროცესს შევისწავლოთ სტუდენტთა მობილობის საკითხი გერმანიაში და ვნახოთ სხვადასხვა გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი სტატისტიკური მონაცემები.

კრისტიან ბოდეს და მარტინ დევიდსონის სტატიაში (საერთაშორისო სტუდენტური მობილობა: ევროპული პერსპექტივა გერმანია და გაერთიანებული სამეფო) (Christian Bode & Martin Davidson 2011) მიხედვით ინტერნაციონალიზაციის პროცესი აღიქმება, როგორც სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი მოვლენა და არამარტო, ის ასევე უზრუნველყოფს მომავალი მსოფლიო ლიდერების ჩამოყალიბებას, რომელზედაც ჩვენი, როგორც გლობალური საზოგადოების წევრი მოქალაქეების ბედია დამოკიდებული. ეჭვი არ არის, რომ ინტერნაციონალიზაცია ასრულებს ამ დროს უდიდეს როლს, რომ ყოველი ქვეყნის მოქალაქე გახდეს საერთაშორისო ტენდენციების მატარებელი (C. Bode & M. Davidson 2011).

სტატიაში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ამ ახალი გაგებით ინტერნაციონალიზაცია გაცილებით შორს წავიდა. საერთაშორისო სტუდენტების მობილობა იძენს უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას. ინტერნაციონალიზაციის, როგორც პროცესის განვითარების შედეგად, მობილურობისა და კონკურენტუნარიანი

პერსონალის მოზიდვაც გაიზრდება. სტატიის ავტორთა მოსაზრებით, განსახილველად აღებული ქვეყანა, გერმანია, არის იმის ნათელი მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ეროვნული და საერთაშორისო ტენდენციების შერწყმა (C. Bode & M. Davidson 2011).

გერმანია იყო ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება მსოფლიოს იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც აქცენტირებულები იყვნენ თანამედროვე, კვლევაზე ორიენტირებულ განათლებაზე. ეს კი პირდაპირ აისახა სტატისტიკურ მაჩვენებლებზე. 1879 წელს ჰაიდელბერგში სტუმრობისას მარკ ტვენი აღნიშნავდა: *"ზაფხულის სემესტრი იყო საკმაოდ დატვირთული. ჩამოსულების უდიდესი ნაწილი სტუდენტი იყო. სტუდენტების უმრავლესობა გერმანელები იყვნენ, რა თქმა უნდა, მაგრამ უცხო ქვეყნის წარმომადგენლების რაოდენობა უზარმაზარი იყო. "* [C. Bode & M. Davidson 2011: 4].

ბოდესა და დევიდსონის სტატიაში საუბარია გერმანიაში ჩასულ სტუდენტთა კონკრეტულ რაოდენობაზე. 2011 წლისთვის გერმანიის უნივერსიტეტებში ჩარიცხული საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა დაახლოებით 233,606-უტოლდება (მათ შორის 55,000 უცხოელი სტუდენტი, რომელმაც მიიღო საშუალო განათლება გერმანიაში), მსოფლიოს მასშტაბით საერთაშორისო სტუდენტებისათვის მეოთხე უდიდესი მასპინძელი ქვეყანაა გერმანია. მობილობით ჩამოსული სტუდენტთა რაოდენობა სტუდენტთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 8% -ს შეადგენს. ყველაზე დიდი ჯგუფები შემოდის გერმანიის მეზობელი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. ეს ხდება არა მარტო გეოგრაფიული სიახლოვის, არამედ ძლიერი ტრადიციულ ურთიერთობების და ამ რეგიონში გერმანული ენის პრივილეგირებული პოზიციის გამო. თუმცა, თითქმის ნახევარი საერთაშორისო სტუდენტი მოდის განვითარებადი ქვეყნებიდან, ძირითადად აფრიკიდან და აზიიდან (C. Bode & M. Davidson 2011).

სტატიის ავტორები საუბრობენ 1990-იან წლებში გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD)- ის მიერ უმაღლესი სასწავლებლების ახალი კონსორციუმის შექმნაზე, რომლის მიზანი გახლდათ გერმანიის უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (GATE). აღნიშნულმა სამსახურმა ფუნქციონირება დაიწყო საგარეო საქმეთა და უმაღლესი განათლების დეპარტამენტების მხარდაჭერით. ეს კონსორციუმი ხელს უწყობს სტუდენტების გაცვლას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მიმართულებით და რაც

მთავარია, ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო ხასიათის ტურებს. გთავაზობს სემინარებს, სასწავლო აქტივობებს და კონსულტაციებს. ასევე განსაზღვრავს საერთაშორისო პრაქტიკის სტანდარტებს. ბოდესა და დევიდსონის აღნიშვნით, ორგანიზაციის მიზანი არის არა საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობის ზრდა, არამედ კანდიდატების ხარისხი. ხოლო რაც შეეხება მოსალოდნელ სარგებელს, აღნიშნული არ გახლავთ ფულადი სახსრები (გადასახადი), არამედ ამ პროგრამაში ახალგაზრდა მკვლევარების ჩართვა, მათი მოზიდვა, საერთაშორისო აკადემიური ხასიათის თანამშრომლობის განვითრება, რომელიც საბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკის წინსვლას განაპირობებს (C. Bode & M. Davidson 2011).

სტატიის მიხედვით აღნიშნული ორგანიზაცია არის მსოფლიოს უმსხვილესი სააგენტო, რომელსაც აქვს 360 მილიონი ევროს რაოდენობის ბიუჯეტი (453 მლნ აშშ დოლარი) წელიწადში. სწორედ ამ ბიუჯეტის დახმარებით ახერხებს აღნიშნული სააგენტო სამოქმედო გეგმის განხორციელებას და მიზანზე გასვლას, რომელიც შემდეგს გულისხმობს: ქვეყნიდან გასული მობილური სტუდენტების რაოდენობის ზრდა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერნაციონალიზაცია (C. Bode & M. Davidson 2011).

სტატიის ავტორები ყურადღებას ამახვილებენ გამშვებ მობილობაზე (საზღვარგარეთ სწავლა). მათი თქმით, გერმანიის რეკორდია ის რომ 83,000 გერმანელი სტუდენტი სწავლობს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტში და 26,300 სტუდენტი არის (Erasmus) პროგრამის მონაწილე (2011 წ). სტატიის ავტორის მოსაზრებით ეს არ გახლავთ საკმარისად კარგი მაჩვენებელი ისეთი ქვეყნისათვის, რომელიც ინტენსიურად არის ჩართული მსოფლიოს სავაჭრო საქმიანობასა და ევროინტეგრაციის პროცესში.

აქედან გამომდინარე, DAAD-ის მიზანი იყო, რომ 2015 წლისთვის ყოველი მეორე კურსდამთავრებულს ჰქონოდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო გამოცდილება, ყოფილიყო ინტეგრირებული სტაჟირების ან ინტენსიური ენის კურსის მონაწილე. DAAD მხარს უჭერს რაც შეიძლება მეტი სტუდენტის ჩართვას მრავალფეროვან პროგრამებში ყველა აკადემიურ დონეზე (ბაკალავრიატის, დოქტორანტების, პოსტდოქტორების, სტაჟირების, ენის კურსები, საზაფხულო სკოლები, და ა.შ.) (C. Bode & M. Davidson 2011).

ამდენად, "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერნაციონალიზაცია" გახდა DAAD ერთ-ერთი მამოძრავებელი პრინციპი.

სტატიაში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქვეყნის მთავრობამ გააცნობიერა, რომ გერმანიის საჭიროებებიდან გამომდინარე, აუცილებელია მეტი საერთაშორისო პრაქტიკის მქონე ადამიანი. ხოლო მთავრობის მხრიდან გაღებული ინვესტიცია წარმოადგენს საყოველთაო მნიშვნელობის ფაქტს. ამიტომ გერმანიის პარლამენტმა 2009 წელს DAAD- ის ბიუჯეტი გაზარდა 20 პროცენტით (2008 წელთან შედარებით).

ამ ინიციატივების ძირითადი მიზნებია:

- გერმანიის მიმზიდველობისა და ეფექტურობის გაზრდა საერთაშორისო დონეზე, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება
- გაზარდოს გერმანიის წვლილი მნიშვნელოვან გლობალურ პრობლემებზე
- გერმანიის მომავალი ლიდერების, საერთაშორისო საზოგადოების წევრი მოქალაქეების აღზრდა
- სხვადასხვა კულტურებს შორის მშვიდობიანი დიალოგის წახალისება (C. Bode & M. Davidson 2011).

სტატიის ავტორი აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებას და ამბობს, რომ დღესდღეობით, გაცილებით მეტი გერმანული უნივერსიტეტი არის ჩართული ამ სახის პროგრამებში, და შესაძლოა ვთქვათ, რომ თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მათ ნამდვილად გააცნობიერეს ის, რომ დღევანდელი უნივერსიტეტი არ არის ცოდნის მიმწოდებელი პატარა საწარმო, არამედ მისი მიზანი უნდა იყოს საერთაშორისო მოქალაქის აღზრდა. ამ მიზნით და კიდევ კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად, გერმანული უნივერისტეტების უფრო და უფრო დიდი ნაწილი ერთვება მსგავს პროგრამაში და ურთიერთობას ამყარებს სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

განსახილველად აღებული სტატია კი სრულდება დერეკ ბოკის ცნობილი ციტატით განათლების შესახებ: "თუ ფიქრობთ, რომ საერთაშორისო თანამშრომლობა ძვირია, შეეცადეთ იზოლაცია!" (C. Bode & M. Davidson 2011).

გარდა ამისა, ჩვენ შევისწავლეთ გერმანიის სოციალური მეცნიერებათა ცენტრის მიერ 2011 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები (C. Finger 2011).

აღნიშნული კვლევის შედეგების მიხედვით, ყველა გერმანელი სტუდენტის 20%, რომლებიც უკვე სწავლობდნენ არანაკლებ 9 სემესტრის განმავლობაში (გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტებისთვის) 1991 წლისთვის უკვე იყვნენ ჩართულნი საერთაშორისო პრაქტიკაში. 2006 წელს ეს მაჩვენებელი 31.5% -მდე გაიზარდა. თუმცა, ეს ციფრები მოიცავს არა მარტო უცხოურ უნივერსიტეტში მყოფი სტუდენტების რაოდენობას,, არამედ გამოკითხული სტუდენტები გულისხმობენ მონაწილეობას საერთაშორისო სტაჟირებასა და სხვადასხვა ტიპის ენის კურსებს.

სტატიის ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ერთ საინტერესო დეტალზე. მობილობაში ჩართული სტუდენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებულის მათ სქესზე. 2009 წელს ჩატარებულმა სოციალურმა კვლევამ ჩვენა, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენელი სტუდენტები უფრო მობილურები არიან, ვიდრე მათი მამრობითი კოლეგები: ქალი სტუდენტების 19 % აფიქსირებს მოსაზრებას, რომ უკვე სწავლობდა საზღვარგარეთ, ხოლო მამრობითი სტუდენტების მხოლოდ 14%-მა განაცხადა იგივე. სტატიის ავტორთა მოსაზრებით, აღნიშნულის მიზეზი შეიძლება იყოს სწავლის სფეროზე არჩევანის გაკეთება, რომელიც დამოკიდებულია სქესზე. გენდერული თვალსაზრისით, ქალების წილი მეტია ჰუმანიტარული მიმართულების სპეციალობაზე. მამაკაცების წილი კი გაცილებით მაღალია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. იმ სფეროებში, რომლებსაც ხშირად ირჩევენ ქალები, განსაკუთრებით მაღალი მობილობის მაჩვენებელი ფიქსირდება - ენისა და კულტურული გამოკვლევები (23%). ამის საპირისპიროდ, მაგალითად, საინჟინრო პროგრამებზე, რომელსაც ძირითადად მამრობითი სქესის წარმომადგენლები ესწრებიან, მობილობის მაჩვენებელი 9 % ია (C. Finger 2011).

აქედან გამომდინარე, გერმანელ სტუდენტს შეუძლია გააკეთოს არჩევანი შედარებით პრესტიჟულ სამეცნიერო უნივერსიტეტსა და გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტს შორის. ამ უკანასკნელს ძირითადად ირჩევენ მამრობითი სქესის წარმომადგნლები, თუმცა მას არ აქვს მობილობის ბევრი პროგრამა. ისინი სტუდენტებს ამზადებენ საინჟინრო და საბუნებისმეტყველო მიმართულებით. ამრიგად, გამოვლინდა

7 %-იანი განსხვავება მობილობის პროგრამებში ჩართული კვლევითი უნივერსიტეტის სტუდენტების რაოდენობას (18%) და გამოყენებითი მეცნიერებების სტუდენტების რაოდენობას (11%) შორის (C. Finger 2011).

ერთი რამ ცხადია, გერმანიაში საერთაშორისო სტუდენტების მობილობა იძენს უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას. ინტერნაციონალიზაციის, როგორც პროცესის განვითარების შედეგად, მობილურობისა და კონკურენტუნარიანი პერსონალის მოზიდვაც გაიზრდა. გერმანულმა უნივერსიტეტებმა ნამდვილად გააცნობიერეს ის, რომ დღევანდელი უნივერსიტეტი არ არის ცოდნის მიმწოდებელი პატარა საწარმო, არამედ მისი მიზანი უნდა იყოს საერთაშორისო მოქალაქის აღზრდა. ამ მიზნით და კიდევ კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად, გერმანული უნივერისტეტების უფრო და უფრო დიდი ნაწილი ერთვება მსგავს პროგრამაში და ურთიერთობას ამყარებს სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

§4.2. მობილობის საკითხი ლიტვაში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბოლონიის სამოქმედო ხაზი იყო მობილობა, რაც გულისხმობს სტუდენტებისათვის საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლის მეტი შესაძლებლობის მიცემას.

განსახილველად აღებულ სტატიაში (ბოლონიის პროცესის კონტექსტუალიზაცია ლიტვაში) საუბარია ლიტველი პროფესორების დამოკიდებულებაზე მობილობის პროცესის მიმართ. დისკუსიებში, რომლებიც სტუდენტთა მობილობას ეხებოდა, რესპონდენტთა უმრავლესობამ ბოლო წლებში გაზრდილი მობილობის პროგრამაში ჩართული სტუდენტების რაოდენობაზე გაამახვილა ყურადღება. მათი აზრით, ამის მიზეზი შესაძლოა იყოს უცხოური ენების ცოდნა. ასევე, უცხოური უმაღლესი სასწავლებლებისა და კრედიტის ფართო გამოყენების შესახებ შეთანხმებების გაზრდა (L. Leisyte., R. Zelvys., & L. Zenkiene2014).

სტატიაში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გამოვლინდდა მნიშვნელოვანი განსხვავებები, რომლებმაც თავი იჩინა სხვადასხვა დისციპლინებს შორის. განსხვავებული მოსაზრებები გააჩნდათ მობილობის მნიშვნელობაზე, კომპიუტერულ მეცნიერებათა და უცხო ენების პროფესორებს.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ბოლონიის პროცესის განვითრებასთან ერთად იზრდება სტუდენტთა მობილობის შესაძლებლობები, ხოლო მეორე მხარე სკეპტიკურად არის განწყობილი. ისინი წუხან კურიკულუმის თავსებადობის საკითხზე ლიტვასა და ევროპულ ქვეყნებს შორის. კომპიუტერულ მეცნიერებათა სტუდენტების ინტერესის არარსებობა მობილობის საკითხზე უკავშირდება სტუდენტის დასაქმების საკითხს. აკადემიური პერსონალის თქმით, მათი მოსწავლეების უმეტესობას არ სურს საზღვარგარეთ სწავლა, რადგან ისინი უზრუნველყოფილნი არიან სამსახურით და არ ეშინიათ ფინანსური პრობლემების. გარდა ამისა, მათ მიერ გამოვლენილი დაბალი ინტერესის მიზეზი შეიძლება იყოს ნაკლებობა გარკვეული უნარებისა, როგორიცაა როგორც უცხო ენების ცოდნა, კვლევის დაგეგმვის სირთულე კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულებით (L. Leisyte., R. Zelvys., & L. Zenkiene 2014).

ინტერვიუს პროცესში გაიჟღერა მოსაზრებამ, რომ ზემოთხსენებული მიზეზების და დაბრკოლებების მიუხედავად ქვეყნიდან გამავალი სტუდენტების რაოდენობამ გადააჭარბა საზღვარგარეთიდან სასწავლებლად ჩამოსული სტუდენტების რაოდენობას.

მობილობის ტენდენციები და კრედიტების გამოყენება

განსახილველად აღებულ სტატიაში წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები, ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ გაცვლით პროგარამაში მონაწილე სტუდენტებისა რაოდენობის ზრდას და შევისწავლოთ საერთაშორისო მობილობის დინამიკა 2003-2008 წლების განმავლობაში (L. Leisyte., R. Zelvys., & L. Zenkiene 2014).

წელი	2003	2004	2005	2006	2007	2008
შემოსული სტუდენტები	50	48	104	91	143	190
გასული სტუდენტები	118	138	175	148	128	171

ცხრილი 4.2.1

საერთო ჯამში, ჩვენ შევიცანით განსხვავებები, რომელიც გამოწვეულია ინსტიტუტების ტიპებსა და დეპარტამენტებს სხვაობით. მობილობის შესახებ სამოქმედო გეგმის განხორციელება მკაცრად უკავშირდება ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნას. კომპიუტერული მეცნიერების სპეციალისტები არიან მოთხოვნადები ადგილობრივ შრომის ბაზარზე მათი სწავლის ადრეულ ეტაპზე. ეს კი პირდაპირ კავშირშია შემოსავლის გარკვეული დონესთან, რომელიც მათთვის გაცილებით ღირებულია, ვიდრე საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილება. უცხო ენის შემსწავლელთათვის კი, მიუხედავად მათი კონკრეტული ეროვნული ჰორიზონტისა, საზღვარგარეთ სწავლა ნიშნავს ამ ჰორიზონტის გაფართოებას. ამდენად, ისინი გრძნობენ საერთაშორისო პრაქტიკის უპირატესობას.

ტატიანა ბულიჯაევას და გაბრიელ ჰოგის სტატიაში ,,უმაღლესი განათლებისა და ერის მშენებლობის ინტერნაციონალიზაცია: ლიტვაში ენის პოლიტიკის დილემების მოგვარება“ (Bulajevaa & Hogan, 2011) განხილულია ლიტვის მაგალითი (T. Bulajevaa., G. Hogan 2013).

თუმცა მანამდე აღვნიშნოთ, რომ სტატიის ავტორების შენიშვნით, ზოგადად, სახელმწიფოს ინტერესის სფეროში შედის იმ გზების მოძიება, რომელიც უმაღლესი განათლების გაფართოებას შეუწყობს ხელს. თუმცა გავრცელებული მოსაზრებით, ქვეყანა ამ დროს დგება ეროვნული ენის გადაგვარების საფრთხის წინაშე. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ამ კონკრეტულ ქვეყანაში კვლევის ჩატარების შემდგომ გამოიკვეთა სწორედ ეს პრობლემა და მისი მოგვარების მიზნით, ლიტვამ დაიწყო რამდენიმე პროექტის განხორცილება:

1. ლიტვის ეროვნული პროგრამა ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისთვის, რომელიც შემუშავდა 2011 წელს, ძირითადად მუშაობდა ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად. პროგრამის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპებია, ლიტველ სპეციალისტებს მოუწოდოს უფრო დიდი საერთაშორისო თანამშრომლობისკენ უცხოელ მკვლევარებთან და პროფესიონალებთან. ამ მიზნით აუცილებელია განახლდეს სამართლებრივი სისტემა, რათა შეიქმნას ხელსაყრელი სამართლებრივი პირობები უცხოელების სწავლისა და მუშაობისათვის ამ

კონკრეტულ ქვეყანაში (ორმხრივი ურთიერთობების ხელშეწყობის მიზნით) (T. Bulajevaa., G. Hogan 2013).

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ხელს უწყობს კვლევითი გარემოს შექმნას ქვეყანაში და ასევე ლიტველი აკადემიური პერსონალის თანამშრომლობის განვითარებას უცხოელ კოლეგეთან, ეს კი ხელს შეუშლის ,,ტვინების გადინების“ პროცესის განვითარებას.

პროგრამის ფარგლებში ქვეყანა გეგმავს, ისეთი პირობების შექმნას, რომლითაც არ გაუჭირდება საერთაშორისო კონკურენტუნარიანობისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების მოზიდვა (T. Bulajevaa., G. Hogan 2013).

2. ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი კიდევ ერთი პროგრამა (2011-2012) უფრო მეტად აძლიერებს ლიტვის საერთაშორისო ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

ამ შემთხვევაში, ყურადღება გამახვილებულია ლიტვის შესწავლის ხელშეწყობაზე საზღვარგარეთის ქვეყნებში. დღეისათვის არის 30 ლიტვისა და ბალტიისპირეთის კვლევითი ცენტრები მთელს მსოფლიოში (ბალტიისტიკა და ლიტვისტიკა). სადაც შესაძლებელია ლიტვის ენისა და კულტურის შესწავლა და ბალტიისპირეთის ენებთან ერთად.

შესაბამისი პროგრამა მიზნად ისახავს, უცხოელი სტუდენტებში ინტერესის გაჩენას ლიტვური კულტურის მიმართ, რაც გახდება ამ კონკრეტულ ქვყანაში ჩასული სტუდენტების რაოდენობის გაზრდის საფუძველი (T. Bulajevaa., G. Hogan 2013).

§4.3. მობილობის საკითხი საქართველოში

ოფიციალური მონაცემების თანახმად, საქართველო ბოლონიის პროცესს 2005 წელს ბერგენის სამიტზე შეუერთდა. ლეჟავა, ამაშუკელის ინფორმაციით, საქართველოს მხრიდან გადადგმული ეს ნაბიჯი წარმოადგენადა გამოსავალს, რომ ჩვენს ქვეყანას თავი დაეღწია პოსტსაბჭითა პერიოდში საგანმანათლებლო სივრცეში შექმნილი ქაოსიდან და მეორე მხრივ, დაენერგა ინოვაციური სწავლების მეთოდები.

ევროკავშირთთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ კი უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის საკითხმა შეიძინა ეკონომიკურ-პოლიტიკური ხასიათი.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ლეჟავა, ამაშუკელის მიერ ჩატარებული კვლევა, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით გაწეული სახელმწიფო დანახარჯების რაოდენობაზე.

,,საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2015 წელს უმაღლეს განათლებაზე დაიხარჯა სულ 132,736.7 ათასი ლარი, რამაც გეგმის (130,096.8 ათასი ლარი) 102% შეადგინა (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წლიური ანგარიში, 2015). 2016 წლის გეგმის მიხედვით, უმაღლესი განათლების დაფინანსება 41 287.4-ით შემცირებულია და 88,809.2 ათას ლარს შეადგენს. 2016 წლის 9 თვის მონაცემებით, უმაღლესი განათლების დაფინანსებაზე დახარჯულია 89,580.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.9%-ს შეადგენს. ფუნქციონალურ ჭრილში განათლებაზე (მთლიანად) გაწეული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის მხოლოდ 10.8%-ს შეადგენს'' [დ.ლეჟავა., მ. ამაშუკელი 2016 : 131-132].

შესაბამისი კვლევის შედეგების გაცნობის შემდეგ, ასევე ვიღებთ ინფორმაციას საქართველოდან გასული სტუდენტების რაოდენობის შესახებ. ინფორმაცია ეფუძნება საქსტატის მონაცემებს.

აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ქვეყნიდან გასული სტუდენტების რაოდენობა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში გაცილებით მაღალია. ლეჯავა, ამაშუკელის შენიშვნით კი ამის მიზეზად შესაძლოა სახელმწიფო უნივერსიტეტებში მოქმედი ERASMUS +-ის პროგრამა და სხვადასხვა საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა მივიჩნიოთ (დ. ლეჟავა., მ. ამაშუკელი 2016).



სურათი 4.3.1

რაც შეეხება კონკრეტულად ერასმუს პლიუსის პროგრამაში ჩართული ქართველი სტუდენტების რაოდენობას, განსახილველად აღებული კვლევა ინფორმაციას გვაწვდის 2015-16 წლებში აღნიშნულ პროგრამაში ჩართული სტუდენტების რაოდენობის და სტუდენტებისათვის მობილობიდან მიღებული სარგებელის შესახებ. როგორც აღმოჩნდა, 2015-2016 წლებში ერასმუს+ -ის სტიპენდიით საქართველოს სულ 2383 (იგულისხმებიან, როგორც გაცვლითი პროგრამით მოსარგებლე, ისე ხარისხის მისაღებად გამგზავრებული სტუდენტები) მოქალაქემ ისარგებლა (დ. ლეჟავა., მ. ამაშუკელი 2016).

ანგარიშის მიხედვით, სტიპენდიანტებისთვის პრიორიტეტულია მობილობის ისეთი პარამეტრები, როგორიცაა უცხო ენის ცოდნის გაუმჯობესება, პროფესიული კომპეტენციების ამაღლება, მოგზაურობის შესაძლებლობები, ადგილობრივი ენის დაუფლება, ევროპული საგანმანათლებლო სისტემის გაცნობა და სხვ (დ. ლეჟავა., მ. ამაშუკელი 2016).

ბოლონიის პროცესში ჩართულობის და შესაბამისი პრინციპების გაზიარების მიუხედავად, საქართველოში არსებობს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით უამრავი გამოწვევა, რაც ძალიან კარგად გამოიკვეთა ლეჟავა ამაშუკელის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად. მოკლედ შევეხებით იმ გამოწვევებს და ბარიერებს, რომლის წინაშეც აღმოჩნდებიან ხოლმე ქართველი სტუდენტები.

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების უგის საკმაოდ დიდი მნიშვნელობას ანიჭებენ, უნივერსიტეტების დღის წესრიგში დგას ისეთი საკითხები, რომლებიც დამაბრკოლებელია ინტერნაციონალიზაციისთვის. მათ შორის დასახელებულია *,,სტუდენტებს/აკადემიურ პერსონალს (განსაკუთრებით უფროსი თაობის) შორის ინგლისური ენის არცოდნა ან დაბალი დონის ცოდნა, პრესტიჟულ დასავლურ უნივერსიტეტებთან აკადემიური თანამშრომლობის დამყარება, უცხოურ უნივერსიტეტებთან არსებული თანამშრომლობის ფარგლებში ქართველი სტუდენტებისთვის გამოყოფილი კვოტების სიმცირე (რაც ავტომატურად საჭიროებს პარტნიორი უცხოური უსდების რაოდენობის გაზრდას). შესაბამისად, მნიშვნელოვანი პირობაა, რომ საქართველოში უნივერსიტეტებმა მაქსიმალურად გაზარდონ პარტნიორი*

უნივერსიტეტების რიცხვი და ქართველი სტუდენტებისთვის მობილობის განხორციელების მეტი შესაძლებლობა უზრუნველყონ“ [დ.ლეჟავა., მ. ამაშუკელი 2016 : 162] და ბოლოს მთავარი ეს არის ფინანსური ხასიათის პრობლემები.

კვლევის საფუძველზე ირკვევა, უნივერსიტეტებში (და უპირველესად, სახელმწიფო უსდ-ებში) არ მოქმედებს მობილობის ფინანსური მხარდამჭერი რაიმე პირდაპირი ეროვნული მექანიზმი. კვლევის მონაცემების თანახმად, სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობას უნივერსიტეტი, მეტწილად, მაინც ადმინისტრაციული მხარდაჭერის გზით ახორციელებს, ვიდრე ფინანსური. ეს გულისხმობს უცხოურ უნივერსიტეტებთან კონტაქტის დამყარებას და თანამშრობლობის მემორანდუმების გაფორმებას, გამოცხადებული კონკურსების შესახებ ინფორმირებას, საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზებას, სააპლიკაციო ფორმების შევსებასა და სხვა სავალდებულო პროცედურების გავლაში დაინტერესებული პირების დახმარებას (დ. ლეჟავა., მ. ამაშუკელი 2016).

აღსანიშნავია ერასმუს + ეროვნული ოფისის მხარდაჭერით ჩატარებული რამდენიმე კვლევა.

2014 წელს არასამთავრობო სტუდენტურმა ორგანიზაციამ ჩაატარა კვლევა ,,ერასმუს მუნდუსის 2013–2014 წლების მობილობის შეფასება“. კვლევის ანგარიში მომზადდა ერასმუს მუნდუსის 2013–14 წლების მობილობის პროგრამებში გამარჯვებულ სტუდენტთა გამოკითხვაზე დაყრდნობით. აღნიშნული კვლევის მიზანი იყო პროგრამაში ჩართული სტუდენტების აზრის შეფასება და მობილობის პროცესში არსებული ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა (ერასმუს მუნდუსის 2013–2014 წლების მობილობის შეფასება 2014).

მეორე მნიშვნელოვანი კვლევა, რომელიც განახორციელდა 2014 წელს არასამთავრობო სტუდენტური ორგანიზაციის Erasmus Student Network Tbilisi ISU-მ, Erasmus +_ის ეროვნული ოფისის მხარდაჭერით გახლავთ რეგიონის კვლევა, რომელიც განხოციელდა 5 რეგიონის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების აზრის კვლევის საფუძველზე. აღნიშნული კვლევის მიზანი გახლდათ Erasmus Student Network (ESN) Tbilisi ISU-ის 4-წლიანი გამოცდილებისა და შესაბამისად დაგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, გამოვლენილი ვარაუდების დადასტურება, იმასთან დაკავშირებით, თუ

რა სახის პრობლემები იჩენდა თავს რეგიონების უნივერსიტეტების სტუდენტთა იმ ნაწილში, რომელიც მოტივირებულია საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად. სწორედ ამ პრობლემების არსებობამ განაპირობა კვლევის ჩატარების აუცილებლობა.[17]

აღნიშნული თავის შეჯამების მიზნით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლონიის პროცესში ჩართვის და მათი პრინციპების გაზიარების შემდეგ, ნამდვილად გაიზარდა საქართველოდან გასული სტუდენტების რაოდენობა. გარდა ამისა ქართული უმაღლესი საგამნმანათლებლო დაწესებულებები აცნობიერებენ, რომ მათი უმთავრესი მიზანია ის, რომ განათლება გახადონ ნაკლებად ლოკალური და აღზარდონ საერთაშორისო საზოგადოების წევრი მოქალაქე. აღნიშნულზე მეტყველებს ჩვენ მიერ შესწავლილი ქართული უნივერსიტეტების სამოქმედო გეგმა, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს გაცვლითი პროგრამების სპექტრის გაფართოება. თუმცა მისასალმებელი იქნება ის, თუ ეს საკითხი გაცილებით მეტ დაინტერესებას გამოიწვევს როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ასევე სახელმწიფოს მხრიდან. ეს შესაძლოა გამოიოხატოს ჯერ არარსებული დოკუმენტის შედგენაში, (ვგულისხმობთ იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებსაც არ აქვთ მსგავსი დოკუმენტი) რომელიც უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას გულისხმობს. გარდა ამისა, მინიმიზაცია იმ დაბრკოლებებისა, რომლებიც ხელისშემშლელ ფაქტორებად გვევლინება პროგრამაში ჩართვის სურვილის მქონე სტუდენტებისათვის. (ჩვენი კვლევის მიზანი არის კიდევ ახალი დამაბრკოლებელი ფაქტორების გამოვლენა ამ მიმართულებით).

[17] ინფორმაცია იხილეთ ბმულზე : https://erasmusplus.org.ge/publications

კვლევითი ნაწილი

კვლევის ზოგადი აღწერა

სამიგდე კვლევის პროცესში ჩავატარეთ თვისებრივი კვლევა. გლობალიზაციის ჭრილში განვიხილეთ რამდენიმე ქვეყნის (საქართველო, გერმანია, ლიტვა) უმაღლესი განათლების სისტემა.

ასევე ნაშრომში წარმოგიდგენთ მსჯელობას ბოლონიის პროცესის, მისი მიზნების და მიზანზე გასასვლელი ამოცანების შესახებ, დაწვრილებით განვიხილავთ ბოლონიის პროცესის დოკუმენტებსა და მათ პრეამბულებს.

სამგისტრო ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე, თეორიულ ნაწილში ვსაუბრობთ ერასმუსის თოთოეულ მოდულსა და მასთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებზე.

ნაშრომის ფარგლებში შევისწავლეთ სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის საკითხი რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე (გერმანია, ლიტვა, საქართველო) და წარმოგიდგენთ ინფორმაციას შესაბამის ქვეყნებში ჩატარებული კვლევებისა და ასევე სტატისტიკური მონაცემების შესახებ.

ინფორმაციის დამუშავების და კვლევების გაცნობის შემდეგ შევიმუშავეთ რაოდენობრივი კვლევის გეგმა. სუბიექტური ინტერპრეტაციის თავიდან აცილების მიზნით გამოვიყენეთ თვითადმინისტრირებული კითხვარი სტუდენტებთან. მიგვაჩნია, რომ გამოკითხულ სტუდენტთა მოსაზრებები გვაძლევს ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მაღალი ლეგიტიმაციის საფუძველს.

დღესდღეობით არსებობს უამრავი საერთაშორისო გაცვლითი პროგრამა. ერასმუს პროგრამა მათ შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. თეორიულ ნაწილში წარმოდგენილი მსჯელობიდან და ასევე იქ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუდენტების ინტერესი აღნიშნული პროგრამის მიმართ საკმაოდ მაღალია, თუმცა არსებობს გარკვეული პრობლემები, რომლებიც მოტივირებული, გაცვლით პროგრამაში ჩართვის სურვილის მქონე სტუდენტებისათვის დამაბრკოლებელ ფაქტორად იქცევა. ამიტომ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის მიზანია სტუდენტების ინფორმირებულობის დონის დადგენა აღნიშნული პროგრამის მიმართ და მობილობის ხელისშემშლელი ფაქტორების

გამოვლენა. ინფორმირებულობის დონის დადგენის შემდეგ, ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, თუ რამდენად აქვთ ამ მიმართულების სტუდენტებს ევროპული სივის შედგენის და სამოტივაციო წერილის წერის გამოცდილება, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. გარდა ამისა, კვლევის შედეგად, ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა სტუდენტების მოსაზრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და ერასმუსის ოფისის მიერ გაცვლით პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებით. შედეგებიდან გამომდინარე, შევცდებით შევიმუშავოთ გარკვეული რეკომენდაციები პროგრამის პოპულარიზაციის გაზრდის მიზნით.

თემის აქტუალობა

თანამედროვე ეპოქაში გლობალიზაციის პროცესის დაჩქარების პირობებში, უმაღლესი განათლების მიღება ასოცირდება არა მხოლოდ პროფესიის დაუფლებასთან, არამედ საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, გლობალური საზოგადოების აღზრდასთან. მოქალაქე, რომელიც იქნება არა ლოკალური, არამედ საერთაშორისო საზოგადოების წევრი. თანამედროვე ეპოქაში, შეუძლებელია ინტერნაციონალიზაციის და საერთაშორისო გაცვლების გარეშე უნივერსიტეტმა შეასრულოს თავისი უმთავრესი მისია და აღზარდოს საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი პიროვნება. საერთაშორისო ღირებულების გაზიარება კი არ მოხდება თუ არ შედგა კონტაქტი ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით განათლების ჭრილში. ეს კონტაქტი თავისთავად გულისხმობს სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართვას სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობებში. რის შედეგადაც პირველ რიგში უნივერსიტეტი და შემდეგ უკვე კონკრეტული სახელმწიფო მიიღებს სარგებელს განათლების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით. შესაბამისად, საერთაშორისო მობილობას და მასში მონაწილეობის მიღების მიზნით სტუდენტთა ინფორმირებულობის დონეს ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა.

თემის სიახლე

ჰუმანიტარული ფაკულტეტის, ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტების ინფორმირებულობის დონის კვლევა ერასმუს მუნდუსის გაცვლით პროგრამასთან

დაკავშირებით ჯერ არ განხორციელებულა. გამომდინარე აქედან, წინამდებარე კვლევა წარმოადგენს სიახლეს.

კვლევის მიზანი

უცხოური ლიტერატურის გაცნობის შემდეგ, ჩვენ შევისწავლეთ, თუ რა პრობლემები იჩენს თავს ზოგადად სტუდენტების მობილობის პროცესში. მობილობის პროცესში ჩართული უცხოელ და ქართველ სტუდენტებს შორის თავსებადობის განსაზღვრის მიზნით, ჩვენ შევიმუშავეთ კვლევის მიზანი:

სტუდენტების ინფორმირებულობის დონის კვლევა ერასმუს მუნდუსის გაცვლითი პროგრამასთან დაკავშირებით (ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტების მაგალითზე)

კვლევის ჰიპოთეზა

- საკვლევად აღებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების ინფორმირებულობის დაბალი დონე ერასმუს მუნდუსის გაცვლითი პროგრამის მიმართ

კვლევის ამოცანები

- ლიტერატურის მიმოხილვა
  - უმაღლესი განათლების ისტორიის მიმოხილვა (საქართველი, გერმანია, ლიტვა)
  - ბოლონიის პროცესის და მისი შესაბამისი დოკუმენტების დამუშავება, ბოლონიის პროცესის მიზნების ანალიზი
  - მობილობა, როგორც ბოლონიის პროცესის ნაწილი
  - ერასმუსის პროგრამის დოკუმენტები
  - სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის საკითხი (გერმანია, ლიტვა, საქართველო)
- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა
- კითხვარის შემუშავება
- ემპირიული კვლევის ჩატარება
  - ერასმუს მუნდუსის გაცვლითი პროგრამების მოთხოვნადი დოკუმენტების მომზადების გამოცდილების განსაზღვრა

- ერასმუს მუნდუსის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველი სტუდენტებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა
- დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის საგანი

- ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტების ინფორმირებულობის დონე ერასმუს მუნდუსის გაცვლითი პროგრამის მიმართ

კვლევის ობიექტი

- კვლევაში ჩართული უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულების ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტების ინფორმირებულობის პროცესი

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს როგორც თვისებრივ კვლევას, რაც გულისხმობს შესაბამისი ლიტერატურის და დოკუმენტაციის ანალიზს. ასევე სამიზნე ჯგუფის გამოკითხვის მიზნით ჩვენ მიერ გამოყენებულ რაოდენობრივი გამოკითხვის მეთოდს. ხოლო **კვლევის ინსტრუმენტად** შევარჩიეთ თვითადმინისტრირებული კითხვარი. კითხვარი მოიცავდა ღია და დახურულ კითხვებს. კვლევა განხორციელდა როგორ ელექტრონულად, ასევე ადგილზე გამოკითხვით.

შერჩევის ერთობლიობა (სამიზნე ჯგუფი)

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოაგდენს ოთხი უნივერსიტეტის (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტები. (ჯამში 110 რეპონდენტი)

შერჩევის მეთოდი

რესპონდენტის შერჩევა მოხდა მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე. (კვლევაში მონაწილეობა მიიღო ოთხი უმაღლესი საგნმანათლებლო დაწესებულების ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების 110-მა სტუდენტმა). საკვლევად აღებული უნივერსიტეტების მიხედვით სტუდენტების რაოდენობა იყო განსხვავებული. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 30 რესპონდენტი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - 30 რესპონდენტი. საქართველოს უნივერსიტეტი - 25 რესპონდენტი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 25 რესპონდენტი.

ანალიზი

რაც შეეხება უშუალოდ კვლევის შედეგებს, საერთო სურათის მისაღებად, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება სტუდენტების მიერ გაცემული პასუხები წარმოვადგინოთ ერთიანი სახით.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო აღნიშნული უნივერსიტეტის 110-მა რესპოდენტმა.



დიაგრამა 1

რესპოდენტების 81,8 % არის მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 18,2 % მამრობითი სქესის.

მნიშვნელოვანია რესპონდენტების ასაკობრივი განაწილება.



დიაგრამა 2

გამოკითხულთა უმეტესობა - 49 % მიეკუთვნება 18-19 წლის ასაკობრივ კატეგორიას. 38% - 20-21 წლის ასაკობრივ კატეგორიას, ხოლო რესპოდენტების ყველაზე მცირე რაოდენობა - 13 % თავსდება 22-23 წლის ასაკობრივ კატეგორიაში.

რაც შეეხება რესპონდენტების განაწილებას უნივერსიტეტების მიხედვით.



დიაგრამა 3

რესპოდენტების 27 % არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. რესპოდენტების იგივე რაოდენობა (27%) გამოიკითხა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. აღნიშნული მაჩვენებელი 23 %-ს გაუტოლდა საქართველოს უნივერსიტეტის და სოხუმის უნივერსიტეტის შემთხვევაში.

კითხვაზე, სადაც რესპოდენტებს ვთხოვდით, რომ შეეფასებინათ თავიანთი ინფორმირებულობის დონე ერასმუსის პროგრამის მიმართ, შემდეგი მაჩვენებელი დაფიქსირდა.



დიაგრამა 4

რესპოდენტების უმრავლესობამ (31 %) ინფორმირებულობის დონე 3 ქულით შეაფასა, რაც საკმარისი რაოდენობის ინფორმაციას გულისხმობს აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით. რესპოდენტების 25 %-მა ინფორმირებულობის დონე 1 ქულით შეაფასა, გამოკითხულთა 22 % მიიჩნევს, რომ ფლობს დიდ ინფორმაციას და შესაბამისად ინფორმირებულობის დონე 4 ქულას გაუტოლა, რესპოდენტების 19 %-ის აზრით, მათი ინფორმირებულობის დონე 2 ქულას შეესაბამება. ხოლო უმაღლესი მაჩვენებელი (5 ქულა) დააფიქსირა რესპოდენტების 4 %-მა.

ჩვენ დავინტერესდით თუ რა სახის ინფორმაციას ფლობდნენ რესპონდენტები კონკრეტულად ერასმუს მუნდოსის გაცვლითი პროგრამის მიმართ.



დიაგრამა 5

როგორც დიაგრამაზე ჩანს, რესპონდენტების უმრავლესობა - 53 % მცირე ინფორმაციას ფლობს ერასმუს მუნდუსის გაცვლით პროგრამასთან დაკავშირებით. 29 %-ს არანაირი ინფორმაცია არ გააჩნია აღნიშნულ პროგრამაზე. 16 % ამბობს რომ აქვს დიდი ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით, ხოლო რესპოდენტების 2 % აცხადებს, რომ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას ერასმუს მუნდუსის გაცვლით პროგრამაზე.

ასეთი მაჩვენებლის შემდეგ, საინტერესოა იმის გარკვევა, თუ საიდან მიიღეს რესპოდენტებმა ის ინფორმაცია, რაც აქვთ ერასმუს მუნდუსის გაცვლით პროგრამასთან დაკავშირებით.



დიაგრამა 6

როგორც აღმოჩნდა, რესპოდენტების უმრავლესობას (37 %) ინფორმაცია მიაწოდა უნივერსიტეტმა. რესპოდენტთა 34 % აცხადებს, რომ ინფორმაცია მიიღო სოციალური ქსელის დახმარებით. გამოკითხულთა 20 % ამბობს, რომ საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით. რესპოდენტთა 18 %-სთვის ინფორმაციის წყაროს მეგობარი წარმოადგენს. ხოლო 7 %-სთვის ერასმუსის ოფიცილური ვებ-გვერდი. რესპოდენტებს შეეძლოთ დაეფიქსირებინათ სხვა წყარო, რომელიც ჩვენ მიერ შეთავაზებულ კითხვარში არ იყო მოცემული. გამოკითხულთაგან მხოლოდ 4 რესპოდენტი აფიქსირებს სხვა წყაროს. ესენია ტელევიზია, მშობელი და სტუდენტური პარლამენტი.

კვლევის ჩატარებამდე ჩვენ შევისწავლეთ საკვლევად აღებული უნივერსიტეტების სამოქმედო გეგმა, რომელშიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა გაცვლითი პროგრამების სპექტრის გაფართოება. ამ მიმართულებით მუშაობს ყველა უნივერსიტეტი. პერიოდულად ისინი ათავსებენ ინფორმაციას ერასმუსის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტებთან და კონკურსებთან დაკაშირებით. ჩვენ კვლევის

ერთ-ერთი კითხვა მდგომარეობდა იმაში, თუ რამდენად ხშირად ეცნობიან რესპონდენტები უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას ერასმუსის ფარგლებში მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებით.



დიაგრამა 7

როგორც დიაგრამიდან ჩანს, რესპონდენტთა უმრავლესობა (50%) იშვიათად ეცნობა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას, 20 % აღნიშნულს ხშირად აკეთებს, სტუდენტების 18 % აცხადებს, რომ საერთოდ არ ეცნობა უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით. ხოლო გამოკითხულთა ყველაზე მცირე რაოდენობა - 12 % ამას საკმაოდ ხშირად აკეთებს.

კვლევის ფარგლებში ჩვენ დავინტერესდით თანამშრომლობენ თუ არა ჩვენი სამიზნე ჯგუფის წევრები თავიანთი უნივერსიტეტის საგარეო (საერთაშორისო) ურთიერთობების დეპარტამენთთან.



დიაგრამა 8

შედეგებმა ცხადყო, რომ გამოკითხულთა 92 %- ს საერთოდ არ უსარგებლია აღნიშნული დეპარტამენტის მომსახურეობით. ხოლო 8% ამ შეკითხვაზე დადებით პასუხს გვცემს.

კვლევის ფარგლებში ჩვენ დავინტერესდით, უცდიათ თუ არა რესპონდენტებს ერასმუსის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება.



დიაგრამა 9

როგორც დიაგრამიდან ჩანს, გამოკითხულთა 88 %-ს არ ჰქონია ამის მცდელობა, ხოლო 12 პროცენტი კითხვაზე დადებით პასუხს გვცემს.

ჩვენთვის საინტერესო იყო ის, თუ რომელი წყარო სარგებლობს სანდოობით, ერასმუს პროგრამაზე სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით.



დიაგრამა 10

კითხვაზე გაცემული პასუხების პროცენტული მაჩვენებლი აჭარბებს 100-ს , რადგან რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ დაეფიქსირებინათ რამდენიმე პასუხი. როგორც შედეგები ცხადყოფს, გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლეობა - 51 % მიიჩნევს, რომ ყველაზე სანდო ინფორმაციის წყაროს ერასმუსის ოფიცაილური ვებ-გვერდი წარმოადგენს. 45 %- სთვის ეს არის უნივერსიტეტი, გამოკითხულთა 20 % მიიჩნევს, რომ ამომწურავი ინფორმაციის მიღების საუკეთესო საშუალება არის სოციალური ქსელი. ხოლო რესპოდენტების ყველაზე ნაკლები რაოდენობა (15%) ფიქრობს, რომ პროგრამის მონაწილე მეგობარს შეუძლია სანდო ინფორმაციის მიწოდება მისთვის. იმ შემთხვევაში თუ რეპოდენტებს ექნებოდათ პასუხის ალტერნატიული ვარიანტი, შეეძლოთ დაეფიქსირებინათ ის, თუმცა როგორც აღმოჩნდა, ასეთი არ არსებობს.

სტუდენტების ინფორმირებულობის დონესთან არის კავშირში იმის ცოდნა, თუ რა დოკუმენტებია საჭირო ერასმუსის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენი შემდეგი კითხვის მიზანს სწორედ ხსენებულის განსაზღვრა წარმოადგენს.



დიაგრამა 11

კითხვაზე გაცემული პასუხების პროცენტული მაჩვენებლი აჭარბებს 100%-ს, რადგან რესპონდენტებს შეეძლოთ ერთზე მეტი პასუხის დაფიქსირება. როგორც დიაგრამიდან ჩანს, გამოკითხულთა უმრავლესობა (77%) მიიჩნევს, რომ ერასმუს მუნდოსის გაცვლით პროგრამაში მინაწილეობის მისაღებად აუცილებელია უცხო ენის ცოდნის კონკრეტული დონე. რესპოდენტთა 63 % ფიქრობს, რომ აუცილებელ დოკუმენტს წარმოადგენს რეზიუმე. 49 %-ის თქმით მონაწილეობის მისაღებად საჭიროა სამოტივაციო წერილი. 46% მიიჩნევს, რომ აუცილებელია ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ. რესპოდენტთა 43 %-ის განცხადებით, ცნობა აკადემიური მოსწრების შესახებ არის მნიშვნელოვანი დოკუმენტი. 29 %-ს მიაჩნია, რომ აუცილებელია რეკომენდატორის დახასიათება, ხოლო გამოკითხულთა 7 % იზიარებს მოსაზრებას, რომ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მნიშვნელოვანია მშობლების თანხმობა.

იმ მიზნით, რომ დაგვედგინა შესაბამისობა ერასმუს მუნდუსის გაცვლით პროგრამის მოთხოვნილ საბუთებსა და სტუდენტების მიერ ამ საბუთების შედგენის გამოცდილებას შორის, რესპონდენტებს ვთხოვეთ ხუთბალიანი სისტემით შეეფასებინათ საკუთარი გამოცდილება, ევროპული ფორმატის CV-ის (რეზიუმე) შედგენასთან დაკავშირებით.



დიაგრამა 12

როგორც დიაგრამიდან ჩანს, რესპონდენტების უმრავლესობა (33 %) საკუთარ გამოცდილებას აფასებს სამი ქულით. გამოკითხულთა თანაბარი რაოდენობა აფასებს თავის გამოცდილებას 1 ან 2 ქულით, თოთოეულ შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 24 %- ს უტოლდება. რესპოდენტთა 12 პროცენტი ფიქრობს რომ აქვს ევროპული ფორმატის CV-ის (რეზიუმე) შედგენის 4 ქულის შესაბამისი გამოცდილება, ხოლო ხუთი ქულით საკუთარ გამოცდილებას აფასებს 8 %.

თავსებადობის განსაზღვრის მიზნით, კვლევის ფარგლებში რესპოდენტებს ასევე ვთხოვეთ შეეფასებინათ სამოტივაციო წერილის დაწერის გამოცდილება ხუთბალიანი სისტემით.



დიაგრამა 13

გამოკითხულთა უმრავლესობა (30%) საკუთარ გამოცდილებას აფასებს 3 ქულით. 25 % მიიჩნევს, რომ აქვს 4 ქულის შესაბამისი გამცდილება სამოტივაციო წერილის წერის მიმართულებით. რესპოდენტების 20 %-მა თავისი გამოცდილება შეუსაბამა 2 ქულას. 1 ქულა დააფიქსირა გამოკითხულთა 15 %-მა. ხოლო სამოტივაციო წერილის დაწერის სრულყოფილი, 5 ქულის შესაბამისი გამოცდილება აქვს რესპოდენტების 11 %-ს.

როგორც ვიცით, სტუდენტები სამოტივაციო წერილის წერას და რეზიუმეს შედგენას სწავლობენ აკადემიური წერის კურსის ფარგლებში, ამიტომ გამოკითხვის პროცესში რესპოდენტებს დავუსვით კითხვა იმასთან დაკავშირებით, გავლილი აქვთ თუ არა მათ აკადემიური წერა.



დიაგრამა 14

რესპონდენტთა უმრავლეობა (74 %) აფიქსირებს დადებით პასუხს, 25 %-ს არ აქვს გავლილი აკადემიური წერის კურსი, ხოლო გამოკითხულთა 1 % (2 რესპოდენტი) ვერ იხსენებს.

როგორც ცნობილია, საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი ზრდის ამა თუ იმ გაცვლით პროგრამაში ჩართული მონაწილის კონკურენტუნარიანობას. აქედან, გამომდინარე, ჩვენ დავინტერესდით ფლობენ თუ არა სამიზნე ჯგუფის წევრი სტუდენტები უცხო ენის დამადასტურებელ სერტიფიკატს.



დიაგრამა 15

როგორც შედეგები ცხადყოფს, რესპონდენტების 93%-ს საერთოდ არ აქვს უცხო ენის დამადასტურებელი სერტიფიკატი. გამოკითხულთა 6 % ამბობს რომ აქვს TOEFL-ის სერტიფიკატი. რესპონდენტებს შეეძლოთ სურვილის შემთხვევაში დაეფიქსირებინათ პასუხი, რომელიც არ იყო წარმოდგენილი ჩვენ მიერ შეთავაზებულ კითხვარში. შედეგი ასე გამოიყურება: გამოკითხულთაგან ერთ რესპოდენტს აქვს FCE სერტიფიკატი და ასევე 1 სტუდენტი გახლავთ British council სერტიფიკატის მქონე.

კვლევის ფარგლებში ჩვენ დავინტერესდით კვლევაში ჩართული სტუდენტების მოსაზრებით, თუ როგორ აფასებენ ისინი საკუთარი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის საქმიანობას ერასმუს მუნდუსის გაცვლითი პროგრამის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებით.



დიაგრამა 16

როგორც შედეგი ცხადყოფს, რესპოდენტთა 35 % აფასებს ადმინისტარციის საქმიანობას 3 ქულით, გამოკითხულთა 19 % მიიჩნევს რომ ადმინისტრაციის საქმიანობა ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებით შეესაბამება 4 ქულას. რესპოდენტთა 18 % მათ საქმიანობას უმაღლესი ქულით (5) აფასებს. სტუდენტების 17 % მიიჩნევს, რომ მათი უნივერსიტეტის ადმინისტრაცია საკუთარ საქმიანობას ახორციელებს 2 ქულაზე. ხოლო გამოკითხულთა ყველაზე მცირე რაოდენობისთვის (11 %) აღნიშნულის ხარისხი ფასდება უარყოფითად, 1 ქულით.

კვლევის ფარგლებში რესპოდენტებს ასევე ვთხოვეთ დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრება ერასმუსის კოორდინატორების მიერ მიწოდებული იონფორმაციის ხარისხთან დაკავშირებით და შეეფასებინათ მათი საქმიანობა.



დიაგრამა 17

რესპონდენტთა უმრავლესობა (38 %) პროგრამის კოორდინატორების საქმიანობას და მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის ხარისხს აფასებს 3 ქულით. გამოკითხულთა თანაბარი რაოდენობა (თითოეულ შემთხვევაში 14 %) ფიქრობს, რომ ერასმუსის კოორდინატორები იმსახურებენ 4, ან 5 ქულას. რესპონდენტთა მხოლოდ 10 % ფიქრობს რომ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია უნდა შეფასდეს 2 ქულით. ხოლო 2 % ის აზრით, ეს შეფასება უტოლდება 1 ქულას. საინფორმაციო კონტაქტის არარსებობის შემთხვევაში რესპონდენტებს შეეძლოთ უპასუხოდ დაეტოვებინათ ეს კონკრეტული შეკითხვა. რესპონდენტების 22 % - მა არ გასცა პასუხი შესაბამის კითხვას.

სამაგისტრო კვლევის ფარგლებში ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა სტუდენტების მოსაზრება, იმასთან დაკავშირებით, თუ რა კონკრეტულმა ფაქტორებმა შეიძლება შეუშალოს ხელი გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღების სურვილის მქონე სტუდენტებს. კვლევის მონაწილეებს პრიორიტეტების მიხედვით უნდა შეეფასებინათ მოცემული კატეგორიები.



დიაგრამა 18

როგორც დიაგრამიდან ჩანს, არაინფორმირებულობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი შესაძლოა აღმოჩნდეს 41 რესპონდენტის აზრით, ხოლო ამ კატეგორიას ყველაზე ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს გამოკითხულთაგან 9 სტუდენტი.

რაც შეეხება მეორე კატეგორიას, უცხო ენის ცოდნის დონეს, უცხოური კვლევებიც ცხადყოფს, რომ ეს ფაქტორი არის ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი მოვლენა გაცვლით პროგრამაში ჩართვის სურვილის მქონე სტუდენტებისათვის. ჩვენ მიერ ჩატრებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ეს კონკრეტული ფაქტორი (უცხო ენის ცოდნის დონე) ყველაზე მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ბარიერია 31 სტუდენტის მოსაზრებით, ხოლო ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი 4 სტუდენტის აზრით.

ჩვენ მიერ შეთავაზებული ერთ-ერთი კატეგორია გახლავთ ფინანსური პრობლემები. 29 რესპონდენტი აქცევს მას უდიდეს ყურადღებას, როგორც მობილობის ხელისშემშლელ ფაქტორს, ხოლო 8 სტუდენტი ფიქრობს, რომ მას უნდა მივანიჭოთ ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა.

საინტერესო პოზიცია გამოავლინეს რესპონდენტებმა შემდეგი კატეგორიის მიმართ, რომელიც გულისხმობს ოჯახის მხრიდან გამოვლენილ წინააღმდეგობას. 6 რესპონდენტისთვის ის ითვლება ყველაზე მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად მობილობის პროცესში ჩართვის სურვილის მქონე სტუდენტისთვის, ხოლო ამ კატეგორიას უმნიშვნელოდ მიიჩნევს 36 სტუდენტი.

რაც შეეხება ფსიქოლოგიურ ფაქტორებს (რელიგია, უცხო გარემოს შიში). მხოლოდ სამი სტუდენტი თვლის, რომ ეს კატეგორია შესაძლოა იქცეს ყველაზე მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად, ხოლო 53 რესპოდენტი მას ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევს.



დიაგრამა 19

რესპონდენტებს პრიორიტეტების მიხედვით უნდა შეეფასებინათ თითოეული კატეგორია, როგორც დიაგრამიდან ჩანს, პროფესიული გამოცდილების მიღება ყველაზე მნიშვნელოვანია 70 რესპოდენტისთვის, ხოლო უმნიშვნელოა 16 სტუდენტის მოსაზრებით.

ენის ცოდნის გაუმჯობესებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს 21 რესპონდენტი, ხოლო აღნიშნული ფაქტორი უმნიშვნელოა 5 სტუდენტისთვის.

ახალი მეგობრების შეძენა პრიორიტეტული აღმოჩნდა 15 რესპონდენტისთვის, ხოლო უმნიშვნელო 38 სტუდენტისათვის.

რაც შეეხება უცხო კულტურის გაცნობას გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის დროს. მას ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევს 4 რესპონდენტი, ხოლო ნაკლებად პრიორიტეტულია ის 51 სტუდენტისათვის.

დასკვნები

როგორც კვლევის შედეგებმა ცხადყო საკვლევად აღებული უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტების ინფორმირებულობის დონე, არ არის მაღალი. რეალურად მათ აქვთ გარკვეული სახის ინფორმაცია, თუმცა არა იმდენი რომ მათ მოახერხონ კონკურსში მონაწილეობის მიღება. გამოკითხვის შედეგად, მივიღეთ მაჩვენებელი, რომლის თანახმადაც გამოკითხული 110 რესპონდენტიდან უმრავლეობა, 30,9 % საკუთარი ინფორმირებულობის დონეს ზოგადად ერასმუსის მიმართ აფასებს სამი ქულით. სამწუხაროდ, მხოლოდ 4 % ფიქრობს, რომ მისი ინფორმირებულობის დონე უტოლდება 5 ქულას.

მსგავსი შედეგი დაფიქსირდა, მაშინ როდესაც რესპონდენტებს ვკითხეთ ფლობდნენ თუ არა რაიმე სახის ინფორმაციას კონკრეტულად ერასმუს მუნდუსის გაცვლითი პროგრამის შესახებ. გამოკითხულთა უმრავლესობას, 53 %-ს საერთოდ არ აქვს ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამართლდა ჩვენი ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც ინგლისური ფილოოგიის სტუდენტების ინფორმირებულობის დონე აღნიშნული პროგრამის მიმართ იქნებოდა დაბალი.

ჩვენ შევეცადეთ, გამოკითხული სტუდენტების ინფორმირებულობის დონე დაგვეკავშირებინა მათი უნივერსიტეტის საქმიანობასთან. კვლევის დაწყებამდე, ჩვენ შევისწავლეთ კვლევაში ჩართული უნივერსიტეტების სამოქმედო გეგმა, რომელშიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა გაცვლითი პროგრამების სპექტრის გაფართოება. ამ მიმართულებით მუშაობს ყველა უნივერსიტეტი. პერიოდულად ისინი ათავსებენ ინფორმაციას ერასმუსის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტებთან და კონკურსებთან დაკაშირებით. ჩვენ კვლევის ერთ-ერთი კითხვა მდგომარეობდა იმაში, თუ რამდენად ხშირად ეცნობიან რესპონდენტები უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას ერასმუსის ფარგლებში მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებით. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულთა უმრავლეობა - 50 % იშვიათად ეცნობა უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას. გარდა ამისა, გამოკითხულთა 92 % საერთოდ არ სარგებლობს საგარეო (საერთაშორისო)

ურთიერთობების დეპარტამენტის მომსახურეობით, რომელიც ნამდვილად არის სანდო ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი გზა.

ჩვენ მიერ შედგენილი კითხვების ნაწილის მიზანს წარმოადგენდა იმის განსაზღვრა, არსებობს თუ არა თავსებადობა ერასმუს მუნდუსის მიერ მოთხოვნილ დოკუმენტებსა და სტუდენტების გამოცდილებას შორის აღნიშნული დოკუმენტაციის შედგენის მიმართულებით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამიზნე ჯგუფის წევრები ფლობენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა დოკუმენტებია საჭირო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ამ დოკუმენტაციის შედგენის გამოცდილება არ არის თავსებადი ერასმუსის მიერ მოთხოვნილ დოკუმენტებთან. სტუდენტების მხოლოდ 8, % ამბობს, რომ აქვს ევროპული ფორმატის რეზიუმეს შედგენის სრულყოფილი გამოცდილება. ხოლო 24 % - თვის მისი გამოცდილება 1 ქულას უტოლდება. მსგავსი შედეგი დაფიქსირდა სამოტივაციო წერილის დაწერის გამოცდილებასთან დაკავშირებით, რესპონდენტების უმრავლესობა, 30 % ამბობს, რომ აქვს სამოტივაციო წერილის წერის 3 ქულის შესაბამისი გამოცდილება. გამოკითხულთა მხოლოდ 11% აფასებს საკუთარ გამოცდილებას 5 ქულით, რაც სრულყოფილს ნიშნავს, ხოლო 1 ქულის შესაბამისი გამოცდილება აქვს ამ მიმართულების რესპონდენტების 15 %-ს.

შედეგები ცხადყოფს, რომ რელაურად არ არსებობს თავსებადობა ერასმუსის მიერ მოთხოვნილ დოკუმენტებსა და სტუდენტების გამოცდილებას შორის ამ დოკუმენტების შედგენის მიმართულებით. თუმცა ზემოთხსენებული გამოცდილების მიღება უნდა მომხდარიყო აკადემიური წერის კურსის ფარგლებში. ჩვენი გამოკითხვის ერთ-ერთი მიზნი იყო, იმის გარკვევა, გაიარეს თუ არა სტუდენტებმა აღნიშნული კურსი საუნივერსიტეტო სივრცეში. როგორც აღმოჩნდა რესპონდენტთა უმრავლსობას - 74 %-ს გავლილი აქვს აღნიშნული კურსი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც კვლევის პროცესში გამოიკვეთა გახლავთ ერასმუს მუნდუსის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისათვის სხვადასხვა ხელისშემშლელი ფაქტორის არსებობა. რეალურად, საჭირო დოკუმენტაციის შედგენის მიმართულებით დაბალი გამოცდილება არის მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი სტუდენტებისათვის. თუმცა კიდევ ერთი ბარიერი, რომელიც გამოვლინდა

კვლევის პროცესში გახლავთ უცხო ენის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომელიც ზრდის ნებისმიერ გაცვლით პროგრამაში ჩართული აპლიკანტის კონკურენტუნარიანობას.

შედეგებმა ცხადყო, რომ გამოკითხულთა 93 %-ს საერთოდ არ აქვს უცხო ენის დამადასტურებელი სერტიფიკატი. რესპონდენტების 6 %-ს (6 რესპოდენტი) აქვს TOEFL-ის სერტიფიკატი. ერზთ რესპოდენტს FCE სერტიფიკატი და ასევე 1 რესპოდენტს BRITISH COUNCIL.

კვლევის ფარგლებში ჩვენ დავინტერესდით თავად სტუდენტების მოსაზრებით და ვთხოვეთ პრიორიტეტების მიხედვით დაელაგებინათ ჩვენ მიერ შეთავაზებული კატეგორიები, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს გაცვლით პროგრამაში ჩართვის სურვილის მქონე სტუდენტს.

შედეგებმა ცხადყო, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი სტუდენტებისათვის არის ინფორმირებულობის დონე და შემდეგ უცხო ენის ცოდნა.

საერთო ჯამში, კვლევის შედეგად დადგინდა რომ:

- ✓ საკვლევად აღებული უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტების ინფორმირებულობის დონე, არ არის მაღალი. რეალურად მათ აქვთ გარკვეული სახის ინფორმაცია, თუმცა არა იმდენი რომ მათ მოახერხონ კონკურსში მონაწილეობის მიღება.
- ✓ გამოკითხულთა უმრავლესობას, 53 %-ს საერთოდ არ აქვს ინფორმაცია კონკრეტულად ერასმუს მუნდუსის გაცვლით პროგრამასთან დაკავშირებით. ეს კი კავშირშია ამავე სტუდენტების მიერ საინფორმაციო წყაროდ უნივერსიტეტის და ერასმუსის ოფიციალური ვებ-გვერდის აქტიურ გამოყენებასთან. თვისობრივი კვლევისას გამოვლინდა, რომ ორივე ვებ-გვერდზე პერიოდულად განთავსდება ინფორმაცია მიმდინარე კონკურსთან დაკავშირებით. თუმცა, რესპონდენტების ნახევარი იშვიათად ეცნობა აღნიშნულ ინფორმაციას, რაც პირდაპირ აისახება მათი ინფორმირებულობის დონეზე.
- ✓ სამიზნე ჯგუფის წევრები ფლობენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა დოკუმენტებია საჭირო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. თუმცა,

როგორც აღმოჩნდა, ამ დოკუმენტაციის შედგენის გამოცდილება არ არის თავსებადი ერასმუსის მიერ მოთხოვნილ დოკუმენტებთან (სამოტივაციო წერილი, ევროპული ფორმატის CV).

- ✓ ერასმუს მუნდუსის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისათვის სხვადასხვა ხელისშემშლელი ფაქტორის არსებობა (დოკუმენტაციის შედგენის მიმართულებით დაბალი გამოცდილება, უცხო ენის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომელიც ზრდის ნებისმიერ გაცვლით პროგრამაში ჩართული აპლიკანტის კონკურენტუნარიანობას).

რეკომენდაციები

თვისებრივი კვლევის ჩატარების, სხვადასხვა ქვეყნის მაგალითის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნევთ შევიმუშავოთ რეკომენდაციები, როგორც სტუდენტების, აგრეთვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ. რეკომენდაციები, რომლებიც მნიშვნელოვანია ზემოთ წარმოდგენილი საერთო ვითარების შესაცვლელად.

- ✓ სტუდენტების ინფორმირებულობის დაბალი დონე-როგორც შედეგებმა ცხადყო სტუდენტების ინფორმირებულობის დონე ზოგადად ერასმუსის და კონკრეტულად ერასმუს მუნდუსის გაცვლითი პროგრამის მიმართ დაბალია. ჩვენ გვექნება რეკომენდაცია პირველ რიგში სტუდენტების მიმართ, რომ საინფორმაციო წყაროდ გამოიყენონ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი და ასევე ერასმუსის ოფიციალური გვერდი, სადაც ამომწურავი ინფორმაციის მიღება შეუძლია მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებით. შესაძლოა სოციალური ქსელი და ასევე მეგობარი, გახდეს საინფორმაციო წყარო, თუმცა ხშირ შემთხვევაში მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ არის სრულყოფილი. ეს კი პირდაპირ აისახება სტუდენტების ინფორმირებულობის დონზე.
- ✓ გარდა ამისა, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია უნივერსიტეტის და ერასმუსის კოორდინატორების უფრო მეტი აქტიურობა. როგორც აღმოჩნდა, არ არის საკმარისი ოფიციალური ინფორმაციის განთავსება ვებ-გვერდზე, საჭიროდ მივიჩნევთ, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ჩატარებას სტუდენტებთან, რომლის ფარგლებშიც კითხვა პასუხის რეჟიმში იქნება შესაძლებელი ინფორმაციის მიღება. ამასთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ვითარების გაუმჯობესების მიზნით, შეუძლიათ გამოიყენონ ამ სფეროში წარმატებული ქვეყნების პრაქტიკა, შეისწავლონ უცხოური ქვეყნების მაგალითი და მოახდინონ მისის ადაპტირება, მოარგონ ის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს. იკვლიონ სხვადასხვა მიმართულების სტუდენტთა ინტერესები, შესაძლებლობები და შედეგებიდან გამომდინარე, შეიმუშავონ სამოქმედო გეგმა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თოთოეულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ყოველი ფაკულტეტის

სტუდენტს უნდა მისცეს გაცვლით პროგრამაში ჩართვის თანაბარი შესაძლებლობა. სტუდენტების მხრიდან მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი ამა თუ იმ ფაკულტეტზე ჩაბარებისა არ უნდა გახდეს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის გაცილებით მეტი შანსი (მსგავსი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ ლიტველი სტუდენტები).

- ✓ ერასმუს მუნდუსის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადების დაბალი გამოცდილება სტუდენტებში - ამ მიმართულებით რეკომენდაცია გვექნება უნივერსიტეტის მიმართ, როგორც ვიცით, აღნიშნული დოკუმენტაციის შედგენას სწავლობენ აკადემიური წერის ფარგლებში, რომელიც სავალდებულო საფაკულტეტო საგანია ამ მიმართულების სტუდენტებისათვის და აღმოჩნდა, რომ უმრავლესობას ის გავლილი აქვს. მიუხედავად ამისა, მათი გამოცდილება აღნიშნული დოკუმენტების შედგენის თვალსაზრისით არ არის მაღალი. საჭიროდ მივიჩნევთ, უნივერსიტეტმა გაცილებით დიდი ყურადღება მიაქციოს ამ მიმართულებით ჩატარებულ ლექცია - სემინარებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, სტუდენტების შესაძლებლობების კვლევა და ლექცია-სემინარის საათებისგან დამოუკიდებლად ტრენინგების ჩატარება, სადაც სტუდენტებს შეეძლებათ ამ მიმართულებით ცოდნის გაღრმავების საშუალება. რადგან ის მართლაც გვევლინება ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად გაცვლით პროგრამაში ჩართვის სურვილის მქონე სტუდენტებისათვის.
- ✓ საჭიროდ მივიჩნევთ სახელმწიფოს გააქტიურებას და მის დაინტერესებას აღნიშნული საკითხის მიმართ. სახელმწიფოსაც შეუძლია გაეცნოს წარმატებული ქვეყნების პრაქტიკას და გამოიყენოს ის საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამ მიმართულებით სახელმწიფოს აქტიურობა შესაძლოა გამოიხატოს საგანმანთლებლო ორგანიზაციებისათვის ბიუჯეტის გაზრდით. სხვადასხვა ხასიათის ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი პროგრამის ამოქმედებით, რომლებიც, ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოს მიმზიდველობისა და ეფექტურობის გაზრდას საერთაშორისო დონეზე, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას, ხოლო, მეორე მხრივ ქართველ

სპეციალისტებს მოუწოდებს უფრო დიდი საერთაშორისო თანამშრომლობისკენ უცხოელ მკვლევარებსა და პროფესიონალებთან. ამ მიზნით, შესაძლოა შეიქმნას კვლევითი ცენტრები საზღვარგარეთ. ცენტრები, რომლებიც ხელს შეუწყობს უცხოელი სტუდენტებში ინტერესის გაჩენას ქართული კულტურის მიმართ, რაც გახდება ამ კონკრეტულ ქვეყანაში ჩამოსული სტუდენტების რაოდენობის გაზრდის საფუძველი. მნიშვნელოვანია, სამართლებრივი სისტემის განახლება, რათა შეიქმნას ხელსაყრელი სამართლებრივი პირობები უცხოელების სწავლისა და მუშაობისათვის (ორმხრივი ურთიერთობების ხელშეწყობის მიზნით). ვფიქრობთ, თავად სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს კვლევითი გარემოს შექმნაზე ქვეყანაში და ასევე ქართველი აკადემიური პერსონალის თანამშრომლობის განვითარებაზე უცხოელ კოლეგებთან, ეს კი ხელს შეუშლის ,,ტვინების გადინების“ პროცესის განვითარებას, რაც ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა საქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალფენიძე, ო. (2014). უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია გლობალიზაციის ეპოქაში. *ეკონომისტი,* # 1, 63-65
2. ასათიანი, ა. (2008) *უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა.* თბილისი: საგამომცემლო სახლი ,,ტექნიკური უნივერსიტეტი“
3. ვასაძე, ნ. (რედ). (1988). *პედაგოგიკის ისტორია.* თბილისი: განათლება.
4. თავზიშვილი, გ. (1938) *უმაღლესი განათლების ისტორიისთვის საქართველოში.* თბილისი: თბილისი კვლევითი ინსტისტუტი.
5. კეკელიძე, კ. (1960) *ქართული ლიტერატურის ისტორია.* თბილისი.
6. კუპრაშვილი, ნ. (2014). ბოლონიის პროცესის ასახვა ქართულ საგანმანთლებლო სივრცეზე. *განათლება*, # 2, 17-20.
7. ლეჟავა, დ., და ამაშუკელი, მ. (2016). *ბოლონიის პროცესის შეფასება საქართველოში: ძირითადი მიღწევები და გამოწვევები.* თბილისი: ღია საზოგადოება-საქართველო.
8. სართანია, ვ. (2006). ინტერნაციონალური სტანდარტები უმაღლესი განათლების სიტემაში. *გლობალიზაცია და ბიზნესი* , #2, 44-50
9. სიხარულიძე, გ. (რედ). (1974). *ქართული პედაგოგიკის ისტორია.* თბილისი: განათლება.
10. ჩაჩანიძე, გ., და ერაი, ო. (2015, დეკემბერი). სტუდენტთა მობილობის და უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სისტემური ანალიზი. *ინტელექტი,* # 3(53), 86-89.
11. ერასმუს მუნდუსის 2013–2014 წლების მობილობის შეფასება (2014).
12. ლისაბონის კონვენცია (1997)
13. ლონდონის კომუნიკე (2007)
14. საქართველოს უნივერსიტეტი (2014). *სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი (2014-2020წწ) სამოქმედო გეგმა.* თბილისი
15. სორბონის დეკლარაცია (1998)
16. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (2018). *სამოქმედო გეგმა (2018-2020 წწ).* თბილისი

17. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისკენ: ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტები.
18. უნივერსიტეტების დიდი ქარტია (1988)
19. Bode, C., & Davidson, M. (2011). International Student Mobility: A European Perspective from Germany and the United Kingdom.
20. Bulajevaa, T., & Hogan, G. (09.12.2013). Internationalisation of higher education and nation building: resolving language policy dilemmas in Lithuania. *Journal of Multilingual and Multicultural Development. # 35. 318-331.*
21. Finger, C., (2011). The social selectivity of international mobility among German university students: A multi-level analysis of the impact of the Bologna process.
22. Leisyte, L., Zelvys, R., & Zenkiene, L. (2014). Re-contextualization of the Bologna process in Lithuania. *European Journal of Higher Education.* 5 (1), 49-67.
23. Sakalys, J., (1985). Higher education in lithuania: An Historical Analysis.*Lithuanian quarterlu journal of arts and sciences.* Volume 31, No.4.
24. Erasmus+ ICM Data for Georgia 2018-19.
25. Erasmus+ International Credit Mobility, 2018. Europian commission.
26. Tempus & Erasmus Mundus საქართველოში. (2014) თბილისი.
27. http://erasmusplus.org.ge/files/files/CBHE/CBHE%202015-2018.pdf
28. http://erasmusplus.org.ge/files/files/Jean%20Monnet/2008-13%20Jean%20Monnet.pdf
29. http://erasmusplus.org.ge/ka/projects/before-2014
30. http://erasmusplus.org.ge/ka/projects/from-2014
31. http://www.ehea.info/media.ehea.info/file/20160118-Chisinau/BFUG_AU_CH_63_5%20ToR%20Secretariat.pdf
32. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.22&d=HASH0191d2d3f84ee58645c10640.4
33. https://eacea.ec.europa.eu/erasmus-plus
34. https://eacea.ec.europa.eu/sites/2007-2013/tempus-programme_en
35. https://ec.europa.eu/education/tools/statistics_en.htm

36. https://en.wikipedia.org/wiki/List_of_universities_in_Germany

37. https://eqe.ge/geo/static/71/Internationalization/bologna-process

38. https://www.german-way.com/history-and-culture/education/universities-in-germany/

39. https://www.tsu.ge/data/file_db/qa_bologne/lisabonis%20konvencia.pdf

40. https://erasmusplus.org.ge/publications რეგიონების კვლევა 2014-2015.

დანართი 1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Psychology and Educational Sciences

Master's program **"Educational Sciences"**

Kusrashvili Mari

The level of awareness of students in relation to the Erasmus Mundus Exchange Program (On the example of English philologists course students)

The thesis is fulfilled for the purpose of getting Master's academic degree in Educational Sciences

Master's thesis advisor: Rusudan Sanadze

Associate Professor of Faculty of

Psychology and Educational Sciences at TSU,

Doctor of Pedagogical sciences

Tbilisi

2019